



# შირაკი

## SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დავით აღმაშენებლის ხეობის გაზეთი

№29 (9.939)

22-29 აპრილი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## არჩევნები და პოლიტიკური მორალი ქართულად

„სიცრუე და მორაობა აწინააღმდეგებს სიმართლას, მარცხს სწავლის“

შოთა რუსთაველის ეს აზროვნება წინასწარჩვენობაა იმ არ გამხსენებელი. ეს მოპოვების წარმომადგენლებმა შეასრულეს ერთმანეთს და ერთობისკენ მოუწოდეს ყველას. მიზანი ერთი, „ლიაწი ნათელი“ და ეს „ქართული ოცნების“ დამარცხებაა. როგორც ჩანს, მათ დაპყრობითი სპირიტით, რომ „რუსთაველის გზა“ გამარჯვებამდე მიიყვანოს. რუსთაველის გზის რა მოგახსენოთ, მაგრამ რუსთაველის პროსაქტუა სიარულს კი მიჰყვება ჩვენი პოლიტიკური სპექტრი, მაგრამ ამას მათთვის არც ერთმანეთის და არც მორალური პრინციპების ერთგულება არ უსწავლავია.

საპარლამენტო არჩევნებამდე საქართველოში სამ თვეზე ნაკლები რჩება, ხოლო გაერთიანებულ ოპოზიციაში სკანდალები არ წყდება. თავიდან ოპოზიციას ერთიანი კანდიდატების შერჩევა უჭირდა. ეს პრობლემა, ერთი შეხედვით, მოგვარდა, თუმცა, მხოლოდ დროებით.

პირობა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაარღვია, განხეთქილების ვაშლის როლი კი გიორგი ვაშაძემ შეასრულა.

გაერთიანებული ოპოზიციის შეთანხმების მიხედვით, ვაშაძეს მხარი უნდა დაუჭიროს ყველა პარტიამ, თუმცა „ნაციონალურმა“ წარმომადგენლებმა ყველასათვის მოულოდნელად განაცხადეს ამ შეთანხმების შესაძლო დარღვევის შესახებ.

„გიორგი ვაშაძემ და მისმა გუნდმა ოპოზიციის ერთობა დაარღვიეს იმის გამო, რომ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად მისი დასახელება სავალდებულო ყოფილიყო. ისინი მაჟორიტარობის კანდიდატთან დაკავშირებით, პარტია შესაბამის ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს და მასში ყველა არგუმენტი იქნება დასახელებული“, - განაცხადა „ნაციონალურმა“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბეჟუაშვილმა.

მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილებას პარტია მიიღებს კონსულტაციების შემდეგ, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ის ისანში თავის კანდიდატს დააყენებს.

თავად ვაშაძე „ნაციონალურის“ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

„მე ვარ ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება იცავს ყველა პირობას და შეთანხმებას, რაც კი ოლქზე გავიკეთებია, იგივე მოლოდინი მაქვს „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან. მათ უნდა გადაწყვიტონ, იცავენ შეთანხმებას, თუ არა. ისინი თუ დაარღვევენ ამ შეთანხმებას, ეს ძალიან ცუდი იქნება, მაგრამ თუ დამიყენებენ ისანში მაჟორიტარ კანდიდატს, მე დავამარცხებ მათ მიერ დაყენებულ კანდიდატს და შემდეგ აუცილებლად დავამარცხებ „ქართული ოცნების“ კანდიდატსაც, რომელიც არის ჩვენი მთავარი სამიზნე“, - განაცხადა ვაშაძემ. შეასრულეს თუ არა „სიტყვის კაცი“ თავის დანაპირებს და მოახერხებს თუ არა, როგორც თავად უწოდებს- „დამსხვრეული ოცნებების პარტიის“ დამარცხებას, ამას არჩევნების შედეგები აჩვენებს.

ქარიზმატულმა გიორგი ვაშაძემ სა-

კუთარი თამაში არც ისე დიდი ხნის წინ წამოიწყო, ამან კი „ნაციონალურ მოძრაობაში“ უკმაყოფილება გამოიწვია.

ვაშაძეს და „ნაციონალურს“ თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდი აკავშირებს. სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ის იყო მისი აქტიური მხარდამჭერი და იუსტიციის მინისტრის მოადგილე. 2016 წელს მან დატოვა „ნაციონალურმა“ და დააარსა თავისი პარტია „ახალი საქართველო“. უკვე 2018 წელს პარტია „ნაციონალურსთან“ კოალიციაში შევიდა და გასული წლის ნოემბერში პრეზიდენტის არჩევნებზე ვაშაძე იყო კოალიციის კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის უფროსი.

განხეთქილება საქართველოს ერთ-ერთ პროდასავლურ პარტიაშიც. „თა-

უმრავლესობამ იმ ადამიანის შეყვანა მოითხოვა, რომელსაც სამი წლის განმავლობაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია პარტიის მუშაობაში, ასევე პარტიის გამგეობის წევრების დასწრება მმართველი „ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენაზე.

პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ მასთან ერთად პარტიის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს ნინო გოგუაძემ, სანდრო ბარამიძემ და გიორგი ქიტიაშვილმა. ისინი ახლა „ევროპულ საქართველოსთან“ შეერთებას და არჩევნებზე მათთან თანამშრომლობას აპირებენ.

ამგვარად, შალვა შავგულიძემ მთაწმინდა-კრწანის ოლქში ოპოზიციის კანდიდატად დარჩება, თუმცა ახლა უკვე სხვა პარტიის სახელით.

ეს არჩევნების წინ პარტიიდან წას-



ვისუფალი დემოკრატები“ არჩევნების წინ პარტიულ სიასთან დაკავშირებული უთანხმოების გამო გაიხლიჩა: მისმა თავმჯდომარემ შალვა შავგულიძემ და რამდენიმე გამორჩეულმა წევრმა „ევროპულ საქართველოში“ გადასვლა გადაწყვიტა.

პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ 2009 წელს თავდაცვის ექს-მინისტრმა ირაკლი ალასანიამ შექმნა. პარტია 2012 წელს „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში ხელისუფლებაში მოვიდა, თუმცა ორი წლის შემდეგ უთანხმოებების გამო ოპოზიციაში გადავიდა. 2019 წლიდან „დემოკრატები“ კოალიციაშია პარტიასთან „ევროპული საქართველო“ - მოძრაობა თავისუფლებისთვის“.

„საზოგადოებას მინდა ვაცნობო, რომ მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო პარტია „თავისუფალი დემოკრატები“. ეს გადაწყვეტილება პარტიის გამგეობაში შექმნილმა არაჯანსაღმა ვითარებამ მიმალვინა“, - განაცხადა შავგულიძემ ბრიფინგზე.

მისი თქმით, წასვლის მთავარი მიზეზი გახდა სია, სადაც გამგეობის

ვლის პირველი შემთხვევა არ არის. ორი კვირის წინ პარტია ლევან სამუშიამ დატოვა და ის შეუერთდა პარტიას „ლელო საქართველოსთვის“.

არჩევნების წინ ოპოზიციას კიდევ ერთი ინიციატივით მიმართა ნიკა მელიამ. მისი თქმით, მმართველ პარტიასთან კოალიციაზე უარი ხელმოწერით უნდა დადასტუროს ყველა პარტიამ, ვისაც ოპოზიციონერობის პრეტენზია გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას ლალატსა და ორგულობაში დასდებენ ბრალს.

ნიკა მელიას ინიციატივას, ოპოზიციამ აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ერთი ნაწილი ამბობს, რომ მზად არის ხელი მოაწეროს დეკლარაციას, რომლის თანახმადაც ისინი უარს იტყვიან „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაზე, მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ მათ პოზიციას დეკლარაციაზე ხელის მოწერით გამყარება არ სჭირდება. ისედაც უარზე არიან მმართველი გუნდის მხარდამჭერზე. ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ლიბერლისტების ოფისში იკრიბებოდნენ, ინიციატივას

მხარს უპირობოდ უჭერენ. დეკლარაციაზე ხელისმოწერის მზაობას გამოთქვამს გიორგი ვაშაძის „სტრატეგია აღმაშენებელი“.

დეკლარაციაზე ხელის მოწერას არ აპირებს პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი ალექო ელისაშვილი. მისი თქმით, ის თავის სიტყვას არ გადავა და ამის დასამტკიცებლად მემორანდუმში არ სჭირდება. ასევე უარზეა პარტია „ტრიბუნას“ დამფუძნებელი დავით ქიტიაშვილი, მისი თქმით „ტრიბუნას“ ნათქვამ სიტყვას ნონა აქვს და მემორანდუმები მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის განაყოფებს სჭირდება. რაც შეეხება „პატრიოტთა ალიანსს“, როგორც პარტიაში აცხადებენ, არაფერს არ მოაწერენ ხელს „ნაციონალურთან“ ერთად, თუმცა არც კოალიცია სურთ. რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ლევან ბერძენიშვილი ამბობს, რომ ასეთი დეკლარაციები კარგია, რათა არ მოხდეს მოულოდნელი პოლიტიკური სვლები. მისივე თქმით, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე პარტია დაარღვევს მემორანდუმს, იქნება მოლაღატე და მოსახლეობა მას შესაბამის პასუხს აუცილებლად გასცემს.

ოპოზიციის მიერ ამ დეკლარაციაზე ხელმოწერის ფაქტს არაჯანსაღს უწოდებს ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე. მისი შეფასებით, „პოლიტიკური დიალოგის სივრცეს ასევე სპობს ოპოზიციის დაგეგმილი მეორე ერთობლივი დეკლარაცია, რომლითაც პარტიებმა „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციის არშექმნის ვალდებულება უნდა აიღონ. ვფიქრობ ამგვარი ნაბიჯები წინააღმდეგობაშია ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების რეკომენდაციებთან და სურვილებთან საარჩევნო სისტემის და გარემოს გაუმჯობესებაზე და დაძაბულობის შემცირებაზე. ეს არის პირდაპირი გზა კონფრონტაციისა და სახელისუფლებო კრიზისისკენ, აქედან გამომდინარე შედეგებით“.

\*\*\*

მორალური კრიტერიუმები უცხოა ქართული პოლიტიკოსებისთვის. ის, თავისი ბუნებით კონფლიქტურია და, დეკლარაციული ფონის მიუხედავად, ვითარდება დევიზით - „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“. მტერს კი მტრულად მოქცევა შეეშენის. სწორედ ასეთია დღეს ოპოზიციური ლიდერების პათოსი. მათი მიზნები და ამოცანები კი ხალხის ნებასთან თანხვედრაში ყოველთვის როდი მოდის.

თითოეული ადამიანი, რომელსაც რამიმე უღირს თავესი საარჩევნო ხმა, ფიქრობს არჩევნება, აბაჯროულად, ფიქრობს საკუთარი ძველნი და მოჯახის მომავალზე. მას სურს, არჩევნებზე წასვლით ხმა მისცეს პოლიტიკურ სუბიექტს, რომელიც მის იმედებს გაამართლებს, იზრუნებს მოქალაქეების კეთილდღეობაზე და საკუთარ ინტერესებს მათზე მაღლა არ დააყენებს. ამომრჩეველისთვის ბატილად მინიშნალოვანია, მათი რჩეული კონკრეტული პოლიტიკური ძალის ერთგული კი არა, ძველნი და ხალხის მოლაღატე არ აღმოჩნდეს.

ინგა შიოლაშვილი



### „რთველი - 2020“ ახლოვდება

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან მუხუზლა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან გივი მეტრეველთან, მრჩეველთან ილია მზექალიშვილთან და „რთველი-2020-ის“ საკოორდინაციო შტაბთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მალხაზ მერაბიშვილს, დედოფლისწყაროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელს გიორგი ბენაშვილსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა „რთველი-2020-ის“ წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებებზე იმსჯელეს.

აღინიშნა, რომ ხელისუფლება პროცესის ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩასატარებლად მზადაა და მევენახეებს პრობლემები არ შეექმნებათ.

რთველი საქართველოში ტრადიციულად დედოფლისწყაროდან, კერძოდ კი ჩვენი მუნიციპალიტეტის ალაზნისპირა სოფლებიდან აგვისტოს ბოლოს დაიწყება.



### დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია 0-დან 18 წლამდე ბავშვებისთვის 200-ლარიანი დახმარების მისაღებად მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, სპეციალურ პორტალზე <http://daxmareba.moh.gov.ge/> რეგისტრაციის პროცესში დახმარებას გაუწევს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივ თვითმმართველობას:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, | სართული, მოქალაქეთა მოსახურების განყოფილება.
  2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, | სართული, „ქალთა ოთახი“. (მერიის მოგვსახურებათ 4 კომპიუტერი).
  3. სოფელი ზემო მაჩხაანი, მერის წარმომადგენლის ოფისი.
  4. სოფელი არხილოს კალო. მერის წარმომადგენლის ოფისი.
- დახმარება გაიცემა, ბავშვის ერთ-ერთი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ განაცხადის შევსების საფუძველზე. რეგისტრაცია პირველ დეკემბრამდე გაგრძელდება. დახმარების გაცემა დაიწყება მიმდინარე წლის სექტემბრიდან. იმ შემთხვევაში, თუ პირი ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის გავლას ვერ ახერხებს, უნდა მიმართოს:
- ადგილობრივი თვითმმართველობებს;
  - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს;
  - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს;
  - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლებს და საზოგადოებრივ ცენტრებს;
  - „ლიბერთი ბანკის“ ფილიალებს.
- ელექტრონულ პორტალზე უნდა განთავსდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:
- ბავშვის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი;
  - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი;
  - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელზე კომერციულ საბანკო დანესტრუქტურულ გავსნილი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები (ბანკის ანგარიშის ნომერი);
  - მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა მოხდება.

იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ვერ ხდება ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთკავშირის დადასტურება, ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციისას საჭირო გახდება ბავშვის დაბადების მონომობის ატვირთვა.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ ვერ ხდება ბავშვსა და კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთკავშირის დადასტურება, ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციისას საჭირო გახდება მეურვედ/მზრუნველად დანიშნვის გადამწვეტილების ატვირთვა.

ელექტრონულ პორტალზე შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვა 24 საათის განმავლობაში შესაძლებელია. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე - 1505.

17 წლის ასაკის ჩათვლით თითოეულ ბავშვზე 200-ლარიანი დახმარების გაცემა შტოპროვ ფონდში საქართველოს მოქალაქეებთან, ბიძინა ივანიშვილთან და ბიზნესთან ერთად ფინანსების მობილიზების შედეგად გახდა შესაძლებელი. პროგრამა მოქალაქეებზე ზრუნვისა და მათი სოციალური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის III ეტაპის ფარგლებში ხორციელდება.

### კახეთის წარმატებული პროექტების შეფასება

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ გურჯაანი-საგარეჯო-სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა დავით სონლულაშვილი საზოგადოებას გასულ კვირას წარუდგინეს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივანი ირაკლი ღარიბაშვილი და გურჯაანის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დავით სონლულაშვილი წარდგენამდე ხეცურიალის ღვინის მარანში იმყოფებოდნენ, სადაც 70 ადამიანი დასაქმებული.



„ქართული ოცნების“ ლიდერებს მარნის მფლობელმა შპს-მა ხმელთაშენი უმასპინძლა და ღვინის დამზადების ტექნოლოგიასა და პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით ესაუბრა. ლიდერებმა აღნიშნეს, რომ ხელისუფლების მხრიდან მფლობელების განვითარება პრიორიტეტულია და ხაზი გაუსვეს ქართული ღვინის ექსპორტის მნიშვნელობას. ხეცურიალის ღვინის მარანი წელიწადში 120 000

ბოთლს ღვინოს აწარმოებს. ღვინო ექსპორტზე გადის ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-ში, ჩინეთსა და რუსეთში. ხეცურიალის ღვინის მარანში 70 ადამიანი დასაქმებული.

„ქართული ოცნების“ ლიდერები ასევე იმყოფებოდნენ სოფელ ჩუმლაყში, სადაც სამაცივრე მეურნეობა დათავალიერეს და ატმის ჩაბარების პროცესს დაესწრნენ. „ქართული ოცნების“ ლიდერები ხილის ჩაბარების პროცესის მიმდინარეობით დაინტერესდნენ და მეურნეობაში დასაქმებულ ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრნენ. მათი თქმით, მნიშვნელოვანია ყველა გლეხმა და ფერმერმა, საკუთარი მოყვანილი პროდუქციის ჩაბარება შეუფერხებლად შეძლოს. სოფელ ჩუმლაყში არსებული, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამაცივრე მეურნეობა „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა. მასში 1 100 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, საიდანაც 800 000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტია. აღსანიშნავია, რომ სამაცივრე მეურნეობაში 450 ტონა სხვადასხვა სახეობის ხილის შენახვა შესაძლებელია. სამაცივრე მეურნეობაში სეზონზე დასაქმებულია 150-დან 350-მდე ადამიანი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მთავრობის სხვა ლიდერებთან და მაჟორიტარობის კანდიდატთან ერთად სასტუმრო „ამპელო“ მონახულეს. „ქართული ოცნების“ ლიდერებმა კომპლექსი დათვალა და მუშაობის პროცესით დაინტერესდნენ. სასტუმროს მფლობელმა გურამ მახუშვილმა აღნიშნა, რომ სასტუმროს მშენებლობის მთავარი მაპროვოცირებელი სახელმწიფო პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტი“ იყო. სასტუმროს მშენებლობა 2014 წელს დაიწყო და საერთო ბიუჯეტი 6 მილიონ ლარს შეადგენს, რომლიდანაც სახელმწიფოს ხელშეწყობით 1 მილიონი ლარი აგროკრედიტია, 5 მილიონი კი კომპანიის ინვესტიცია. კომპლექსი ღვინის საწარმო (მარანს), რესტორანს და სასტუმროს 20 ნომერს მოიცავს. კომპანიის მევენახეობის კუთხით 10 ადამიანი სტაბილურად ჰყავს დასაქმებული, სეზონურად კი 40-მდე ადამიანი. ამჟამად, სასტუმროში 36 ადამიანი მუშაობს.

მთავრობის წევრები ჩირის საწარმო „ჯეო ორგანიკი“ იმყოფებოდნენ. პარტიის ლიდერები საწარმოს მუშაობის პროცესით დაინტერესდნენ. „ჯეო ორგანიკის“ მფლობელმა ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა „ქართული ოცნების“ ლიდერებს განხორციელებული ინვესტიციის შესახებ მიანდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების მხარდაჭერით შექმნილი საწარმო წელიწადში 600 ტონა ხილს ამუშავებს.

მენარმის ინფორმაციით, „ჯეო ორგანიკი“ მომავალი წლისთვის 1000 ტონამდე ხილის გადამუშავებას შეძლებს, ხოლო უკვე გადამუშავებულია 10 ტონა ატამი და 10 ტონა ნესვი. საწარმოს სრული ინვესტიცია 5 მლნ ლარია, საიდანაც საკუთარი წილი 3,1 მლნ ლარს, სახელმწიფო გრანტი 345 000 ლარს, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტი - 1 500 000 ლარს შეადგენს. ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციის გარდა, იგეგმება პროდუქციის ექსპორტი ჩეხეთში, შვედეთსა და უკრაინაში. „ჯეო ორგანიკი“ 50 ადგილობრივია დასაქმებული.

### ონკოლოგიური მკურნალობის ახალი პროგრამა

ონკოლოგიური პაციენტებისთვის მკურნალობისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის ახალი პროგრამა ჯამში საქართველოს 40 ათასამდე მოქალაქეს შეეხება, რომელიც ონკოლოგიური პაციენტთა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების სია ფართოვდება და შესაბამისად, მედიკამენტებზე გამოყოფილი წლიური ლიმიტის 8 000 ლარით გაზრდის გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ 20 აგვისტოს სხდომაზე მიიღო. როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, ეს არის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი უაღრესად მნიშვნელოვანი პროგრამის გაუმჯობესების დამატებითი კომპონენტი, რაც ონკოლოგიურ პაციენტებს მისცემს შესაძლებლობას, მკურნალობის სრული კურსი სახელმწიფოს დაფინანსებით ჩაიტარონ.

„ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა ქვეყანაში სამწუხაროდ, ჯერ კიდევ რჩება პრობლემურად, განსაკუთრებით ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის თვალსაზრისით. დღემდე პრობლემა იყო მეოთხე ეტაპი, როდესაც სიმსივნის გამოვლენის შემთხვევაში ჩვენს მოქალაქეებს მკურნალობის გარკვეულ ეტაპზე სახსრების გაღება საკუთარი ჯიბიდან უწევდათ. დღეის მდგომარეობით, ეს პროგრამა 8 000 ლარით იზრდება, რაც ფაქტობრივად ჩვენს თითოეულ მოქალაქეს, რომელიც ამ მძიმე სენს ებრძვის, მისცემს შესაძლებლობას, მკურნალობის სრული კურსი ყველანაირი ჯიბიდან გადასახდელის გარეშე ჩაიტაროს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოს 1972 მოქალაქე სარგებლობს ამ პროგრამით და ამ ადამიანებისთვის ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი მხარდაჭერა“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ ეს არის სახელმწიფოს მხარდაჭერა ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც მძიმე სენს ებრძვის და ისინი შეძლებენ, სრული მკურნალობა მიიღონ სახელმწიფოს ხარჯზე.

ახალი პროგრამა ჯამში საქართველოს 40 ათასამდე მოქალაქეს შეეხება, რომელიც ონკოლოგიური პაციენტია.

# კვლავ დიად დარჩენილი პრობლემა

მინის დეგრადაცია და აგრო-ნარჩენების გადანვა, ხანძრები და მათი პრევენცია - ამ საკითხებზე სულ ახლახანს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში საკომიტეტო მოსმენა გაიმართა, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ნილოსანი უძღვებოდა. საკომიტეტო მოსმენას, კანონმდებლებთან ერთად, აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფერმერები და დარგის სპეციალისტები ესწრებოდნენ.

ნინო ნილოსანის განცხადებით, ეს ორივე თემა პირდაპირ უკავშირდება ერთმანეთს და განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღეს არა მხოლოდ გარემოს დამცველებისათვის, არამედ საერთოდ მოსახლეობისთვისაც. მისი თქმით, ხანძრებთან მიმართებაში, 2020 წლის სტატისტიკა დასაწყისიდანვე იმდენად გაუარესებული, რომ აუცილებელია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, როგორც პრევენციის, ასევე თავისთავად მისი ლიკვიდაციის კუთხით. საკითხი - მინის დეგრადაცია და აგრო-ნარჩენების გადანვა - განსახილველად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა გამოიტანა და აღნიშნა, რომ ეს პრობლემა უკვე მრავალი წელია მწვა-

ტურება რომ მე უნდა დამაჯარიმოს, ძალიან გაგიჭირდებათ. ჩემი აზრით საფუძველი კარგად გააზრებული არ არის, თუ რატომ ხდება ასე. მთავარი მიზეზია, თუ რატომ წვავს ეს ხალხი ნაკვეთს. თუ იმას ვიტყვით რომ ამას წინაპრები აკეთებდნენ, ეს უბრალოდ თითქმის გამონაკლისი მიზეზი იქნება. მთავარი ამ ყველაფრის მიზეზი არის ეკონომიკა. ანუ მე თუ დამატებითი სამუშაოები განვახორციელებ, დამატებით 10-15 ლარს მხდევინებს მექანიზატორი. ამ დროს უნდა დაიჩეხოს ნაკვეთი, შემდეგ უნდა მოიხნას, შემდეგ შეიძლება დაიჩეხოს კიდევ, იმიტომ რომ თუ ნაკვეთი დასუფთავებული არ არის ფიზიკურად, ტექნიკას მისი დამუშავება უჭირს. აქედან გამომდინარე, დაახლოებით ხარჯები, რომ ვიანგარიშოთ, ფერმერებს 1 ჰექტარზე დამატებით 50-100 ლარამდე უხდებათ გადახდა. ეს არის მათი მთავარი მიზეზი. სუფთა ეკონომიკა და ეკონომიკური მხარე. ამიტომ თუ ჩვენ გვინდა, რომ რალაციტი ვიმოქმედოთ და ეს ადამიანები გადმოვიყვანოთ სწორ რელსებზე, ამ ადამიანებს უნდა დავანახოთ არ გადახდის სიკეთე. ან უნდა შევამჩნიოთ (სანქციები) ან უნდა ვუთხრათ, რომ შენ თუ ამას არ გააკეთებ, დაგისუფსიდიანებ მაგა-ეკონომიკა სანჯავს ხარჯს, 50-70 ლარით. ან მოგცემ სათესლე მასალას. შეიძლება სხვა მექანიზმიც იყოს, მე უბრალოდ პრინციპს



აღნიშნა, რომ აუცილებელია პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური პროგრამის შემუშავება, საჭიროა საზოგადოების ინფორმირება, მათთვის საფრთხის თვალნათლივ დანახვა. ხაზგასმით აღნიშნა დედოფლისწყაროს პრობლემების შესახებაც, სადაც გაუდაბნობის პროცესი ფაქტობრივად დაწყებულია. სპეციალისტთა განცხადებით, გადანვის შემთხვევაში ნიადაგის აღდგენას ათეულობით წელი სჭირდება და ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არის საკანონმდებლო ბაზა, აუცილებელია უნდა შევიდეს ცვლილებები ნიადაგის დაცვის შესახებ კანონში და უნდა მოხდეს ასევე ცნობიერების ამაღლება. ამირან ქოლიაშვილი, ვაშლი-ვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეც გამოთქვა აზრი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით: „ჩვენ რომ ახლა იმათი „დეენა“ დავინჯოთ ვინც ეს მიწები გადახდა, რა თქმა უნდა, რთული იქნება, მაგრამ არა იმდენად, რადგანაც ეს ლიად ხდება. მაგრამ თუ რამდენიმე ადამიანს დაავაჯარიმებთ, ეს შემდგომ ფარულად მოხდება და უფრო დიდ ზიანს მოიტანს. აქ საუბარია საფრთხის შექმნაზე, როდესაც შენ ნაკვეთი შემოხსული გაქვს, მაგრამ ნამჯა გაქვს დატოვებული შიგნით. იმიტომ კი არ ვაჯარიმებთ ადამიანს, რომ დანვა, არამედ იმისთვის, რომ საფრთხე შექმნა. გარდა იმისა, რომ ჩვენ ამ გადახვევით ყოველწლიურად ათეულობით მილიონს ვკარგავთ, საფრთხე ექმნება ბიომრავალ-

აგრონარჩენებიც ნარჩენებია, ამიტომ ვფიქრობ, რომ ფერმერი ვალდებული უნდა იყოს ის ნაკვეთიდან გაიტანოს. მეორე არის მოსავლის აღების სტანდარტიზაცია, რომელიც ხანძრებს შეაჩერებს. მაგალითად, რა სიმალეზე უნდა მოიჭრას ნამჯა. თუ ვთქვათ 12-15 სმ რჩება გადაჭრის შემდეგ, ეს ხანძრის შემთხვევაში ადვილად ჩაქრება და მარტივად იმართება, არ იწვევს დიდ ხანძრებს და ამცირებს მისი სტიქიურად გავრცელების შანსებს. ამას ემატება ისიც, რომ ნამჯაზე მოთხოვნა გაზრდილია და ის აღქმულია არა როგორც ნარჩენი, არამედ პროდუქტი, რომელსაც შესაქონლები ძალიან კარგად იყენებენ. ეს ორი მიდგომა ყველაზე სწორი მგონია“.

კომიტეტმა ასევე დამატაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის აღსრულების კონტროლის ანგარიში, რომელიც კოლეგებს ასევე ნინო ნილოსანმა წარუდგინა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის აღსრულების კონტროლი, პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის ფარგლებში, ნინო ნილოსანის ინიციატივით განახორციელა. ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის ფარგლებში მონაწილეობდნენ ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოებისა და საჯარო უწყებების წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული პირები, რომელთა მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და მათი



ვედ დგას. „მინის მდგრადი განვითარება პრიორიტეტად რჩება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სექტორალურმა განვითარებამ, დარგების განვითარებამ არ დაზიანოს გარემო და კლიმატი, ანუ უნდა მოხდეს ეკონომიკის დაბალანსებული განვითარება გარემოზე შემარბილებელი ღონისძიებების პარალელურად,“ - განაცხადა მან.

მინისტრის მოადგილემ ისაუბრა ნიადაგის დეგრადაციის გამომწვევ ფაქტორებზე, იმ ზიანზე, რაც მოაქვს ნიადაგისთვის მოსავლის აღების შემდეგ აგრო-ნარჩენების გადანვას: ნიადაგის დაზიანებას მოჰყვება იმ ადგილებიდან ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია, მცირდება ჰუმუსი და ა.შ. ნიადაგს ანადგურებს ასევე პესტიციდების არასწორად გამოყენება და სხვა. მან პრობლემათა შორის პირველ ადგილზე სუბიექტური მიზეზები დაასახელა. შეხვედრას ესწრებოდა ყველა დაინტერესებული მხარე დედოფლისწყაროდანაც. ბიძა გონაშვილმა, რომელიც კომიტეტის სხდომას ფერმერის სტატუსით ესწრებოდა, რამდენიმე გამოსავალსა და იმ მიზეზებზე ისაუბრა, რომელიც ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭირო: „ფულადი ჯარიმა, როგორც რეგულაცია და აღკვეთის ზომა, ვერ არ მუშაობს. ტექნიკურად ამის შესრულება ძალიან რთული მგონია. ჩემს ნაკვეთში სხვა-სხვა სახის მანქანა, მე რატომ უნდა დავვადარიმდე უმეტესობა ფერმერებისა ამას გეტყვით. შემდეგ კი აბსურდულ მიზეზებს მოვისმენთ კალიების მიერ ცეცხლის გადატანის შესახებ და ა.შ. თუ უშუალოდ ამ ფაქტს არ შეესწრო დამჯარიმებელი, ამის დადას-

ვამობო. მგონია, რომ სუბსიდიის გარეშე ამას ვერ მოვაგვარებთ. თუ ადამიანს ფიზიკურად არ გადავალახინებთ ეს ბარიერი, რომელიც გონებაში აქვს, ამის გარეშე არაფერი გამოვა. მათ პერსპექტივაში უნდა დავანახოთ, რომ თუ ამას არ გააფუჭებ და თუ არ გამოიტან ნამჯას გარეთ, ამით შენ კიდევ ნაკლები სასუქის მოხმარება დაგჭირდება. რაც საპექტარო დანახარჯებს გიმცირებს. ბევრი რამეა რაც პრაქტიკაში უნდა ვაჩვენოთ, თორემ დარიგებული ბუკლეტი უამრავი მინახავს. ფიზიკურად ეს არ მუშაობს“.

როგორც სოლომონ პავლიაშვილმა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, აუცილებელია ამ საკითხების მოგვარებისათვის ერთობლივი ძალისხმევის გამოჩენა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე. „არ მგონია, ლოგიკური რომ სუბსიდიება საკუთარი კარ-მიდამოს მოვლისთვის სწორი იყოს. უფრო მგონია, რომ მეტი ინფორმაცია უნდა მივანოდოთ, თუ რა ზიანი მოაქვს მათ მიერ გამოწვეულ პროცესებს. შეიძლება ამან უფრო მეტად იმუშავოს, ვიდრე, ვთქვათ, სუბსიდიებამ. ქარსაფარი ზოლები რომ გადაინვა, ვის დააკლდა? ეს სომ მათ დააკლდათ ისევე, რადგან სწორედ ქარსაფარის არ არსებობა იწვევს შემდგომ ქარისმიერ ეროზიებს. ამიტომ ამ ფერმერებთან უფრო მეტად უნდა ვიმუშავოთ. მათ გარშემო რაც ნადგურდება, ეს ისევე მათ ნიადაგს და მიწებს აკლდება.“

დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, დამსწრეთა მხრიდან გამოითქვა მოსაზრებები გამოსავლის ძიების გზებზე,



ფერმერებს, ნიადაგს. ამიტომ სუბსიდიებისთვის 2 მილიონამდე ლარის გამოყოფა, არ მგონია ამის ფონზე პრობლემა იყოს. ეს კულტურა რამდენიმე წელში დაინერგება, თუ სწორად მივუდგებით“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მალხაზ მირაზიშვილმა პრობლემის პრევენციის გზებზე ისაუბრა: „რეგულაციები ნამდვილად მოსაქებია და ეს ყველაფერი ერთად უნდა გავაკეთოთ.

მონაწილეობით წარმართული ზეპირი მოსმენების მეშვეობით, კომიტეტმა კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების მაქსიმალურად საჯარო განხილვა უზრუნველყო. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის აღსრულების კონტროლი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით და ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდთან თანამშრომლობით განხორციელდა.



# „საკუთარი წარმატებით ბედნიერი უნდა იყო“

სულ რამდენიმე კვირაც და ახალი სასწავლო წელი კარზე მოგვიკაკუნებს. ყოველ ახალ სასწავლო წელს გვიყვარს უკან გახედვა და გასული წლის შედეგების გადახედვა. გვიხარია, როდესაც ჩვენი რაიონიდან ამდენ წარჩინებულ სტუდენტს ვუშვებთ და მერე სწავლის პროცესში მათ მიერ მიღწეულ წარმატებებსაც ვერ ვტოვებთ ყურადღების მიღმა, რადგან თითოეული მათგანის წარმატება არა მხოლოდ მათი და მათი ოჯახებისთვისაა სასიხარულო და საამაყო, არამედ სრულიად საზოგადოებისთვის. გვინდა, დღეს ჩვენი სიხარული და ემოცია თქვენც გაგიზიაროთ და მოგიყვებთ პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის, ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტის და პრეზიდენტის სტიპენდიანტის ანასტასია შირაქის შესახებ, რომელიც ექიმების და პედაგოგების ოჯახში აღიზარდა, ჩვენთვის, ყველასთვის ძვირფასი ადამიანების - დიტო ექიმის და თამუნა მასწავლებლის ქალიშვილია.

- ანასტასია, მოგიყვებით თქვენს შესახებ, სტუდენტობამდე პერიოდზე, ოჯახზე და იმ მთავარ პრინციპებზე, რომლითაც აღიზარდეთ?

- უპირველეს ყოვლისა, მადლობას გიხდით ინტერვიუსთვის და ვეცდები, მოკლედ მოგიყვებთ ჩემს შესახებ. დაიბადე 2001 წლის 30 ივლისს ქ. დედოფლისწყაროში. გავიზარე ტრადიციულ ოჯახში მშობლებთან, ბებია-პაპასთან და ორ პატარა დასთან ერთად. სწორედ ესაა ის ადგილი, სადაც ვისწავლე შრომის, სწავლისა და განათლების ფასი, რომელთა გარეშეც წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

- თუ გახსოვთ, რამდენი წლის იყავით, როდესაც პირველად აიღეთ პასუხისმგებლობა თქვენს თავზე?

- პირველი შემთხვევა, როცა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღე, იყო 10 წლის ასაკში, როდესაც ანასამბლ „შირაქის“ სხვა წევრებთან ერთად გავემგზავრე საფრანგეთში ფესტივალზე. მასხოვს, ეს იყო პირველი ორი კვირა ჩემს ცხოვრებაში, როცა მშობლების გარეშე ვიყავი

საქართველოსგან შორს, სრულიად განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყანაში. - როდესაც საბუთები სამედიცინო ფაკულტეტზე შეიტანეთ, მკაფიოდ გქონდათ გაცნობიერებული თქვენი მომავალი პროფესიის პასუხისმგებლობა?

- არანაკლებ საპასუხისმგებლო იყო მომავალი პროფესიის არჩევა. რასაკვირველია, ყველა ბავშვი ოცნებობს გახდეს ექიმი, მასწავლებელი თუ პოლიციელი... „ვარდისფერი სათვალის“ უყურებს მომავალს, თუმცა, როცა რეალური არჩევანის წინაშე დგები, აცნობიერებ, რომ ეს ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც შენს მომავალს განსაზღვრავს. ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. მთელი ბავშვობა ვოცნებობდი ექიმობაზე და ამ გზით ხალხის დახმარების სურვილი მქონდა. ვფიქრობ, სწორედ ამ განცდამ მიმაღებინა საბოლოო გადაწყვეტილება. ვიცი, რომ რთული პროფესიაა და, შესაბამისად, რთული წლები მეღის წინ, თუმცა „ვარდნი“ უუცლოდ არავის მოუკრებიან!

- რა ასაკში გადაწყვიტეთ ექიმობა და როგორ ფიქრობთ, გაამართლებს თუ არა ის თქვენს მოლოდინებს?

- შეიძლება ითქვას, რომ ექიმობა ჯერ კიდევ 3-4 წლის ასაკში გადაწყვიტე და ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე, რადგან მთავარი მიზეზი გაჭირვებაში მყოფი ადამიანების დახმარებაა. მართალია, ამ მიზნის განსახორციელებლად იდვილ შრომა მჭირდება, თუმცა, ვფიქრობ, ჩემს მოლოდინებს გაამართლებს. ჩემმა მომავალმა პროფესიამ უკვე ძალიან ბევრი რამ მასწავლა, რაც აქამდე არ ვიცოდი, გამიღრმავა ინტერესი მედიცინისადმი და გამიმძაფრა სურვილი, რომ მიზნის მისაღწევად მეტი და მეტი ვიმოძიო.

- მოგიყვებით, როგორია ახალ გარემოსთან შეგუების პროცესი, ხომ არ შეეჯახეთ პრობლემებს სხვადასხვა კუთხით, ყველაზე მოულოდნელი სირთულე რა აღმოჩნდა და რა გაგიჭირდათ ყველაზე მეტად?

- სტუდენტობა, თავისთავად, გულისხმობს ცხოვრების ახალ ეტაპს, რადგან ხვდები სრულიად ახალ გარემოში, სხვა ქალაქში, სხვა საგანმანათლებლო სისტემაში და სხვა საზოგადოებაში. აღსა-

ნიშნავია, რომ უნივერსიტეტში სწავლის სისტემა სრულიად განსხვავდება სკოლის სისტემისაგან და, ალბათ, ყველაზე რთულიც თავიდან ეს იყო, რადგან სასწავლო მასალა ძალიან ბევრია და შეფასების სისტემა სრულიად განსხვავებულია.

- მიზნების და შესაძლებლობების ბალანსი ალზრდით მიიღწევა, გამოცდილებით თუ...?

- ვფიქრობ, მიზნებსა და შესაძლებლობებს შორის ბალანსში მნიშვნელოვანია ალზრდა, რადგან ოჯახში გიყალიბდება ხედვა მომავლისადმი, თუმცა, საკუთარი გამოცდილებაც არანაკლებ ფასეულია. კარგია, როცა მიზნის მიღწევის ჯანსაღი ამბიცია გაქვს, თუმცა, აუცილებელია შესაძლებლობებს აცნობიერებდე, რომ ამ ზღვარის გარღვევის ფუჭი მოლოდინი არ გქონდეს.

- როდესაც გრძნობ უპირატესობას, რომ ერთი ადამიანი სხვა ადამიანზე ბევრად მეტს აცნობიერებ, გეხმარება თუ არა ეს იმაში, რომ სხვაზე ბედნიერი იყო? თუ პირიქით?

- ვფიქრობ, უმჯობესია, რომ ადამიანი საკუთარი წარმატებით იყოს ბედნიერი და არა სხვაზე უპირატესობის გრძნობით.

- რომელია პრინციპი, რომელსაც არასდროს დათმობ?

- მთავარი პრინციპი ალბათ არის ის, რომ ადამიანი მხოლოდ მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ეს შემდგომი წინსვლის საშუალებას არ მისცემს.

- რომ არის ის, ვისაც თქვენს ყველა სიხარულს თუ ტკივილს უზიარებ?

- ის ადამიანები, რომელთაც ჩემს ყველა სიხარულსა თუ ტკივილს ვუზიარებ, ჩემი ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები არიან. ამ თემებზე საუბარი მათთან ყველაზე მარტივია, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში მათ მხარდაჭერას ვგრძნობ.

- თუ გაქვთ რაიმე ფრაზა, დევიზი, რომლითაც ცხოვრებას მიჰყვებით და რომელიც გაიადვილებთ ყოველდღიურობას?

- მთავარი დევიზი ალბათ ბედნიერების წვრილმანებში ძიებაა. უმჯობესია, ბედნიერება ყოველდღიურობაში, წვრილმანებში დავიხაზოთ და არა მხოლოდ რაიმე გრანდიოზულში.



- გაიხსენეთ თქვენი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დაუვიწყარი ამბავი...

- ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი დაუვიწყარი მომენტი იყო მაშინ, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ჩემს ოცნებას ერთი ნაბიჯით მივუახლოვდი - გავხდი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი 100%იანი გრანტით. როგორც ყველა აბიტურიენტი, მეც მოუთმენლად ველოდი საბოლოო შედეგების გამოცხადებას (ის რამდენიმე კვირა ალბათ ყველაზე „ხანგრძლივი“ რამდენიმე კვირა იყო ჩემს ცხოვრებაში). როცა დაიდო ინფორმაცია ჩარიცხვებისა და დაფინანსების შესახებ, ეს მართლაც დაუვიწყარი მომენტი იყო. ვიგრძენი, რომ შრომა დაფასდა.

- და ბოლოს, რას ურჩევთ ახალგაზრდებს, მომავალ თაობას?

- მომავალ თაობას ვურჩევდი, რომ თავიანთი ცხოვრება ნაყოფიერად გამოიყენონ. სწორედ ახლა ის პერიოდი, როცა უნდა ისწავლონ, იშრომონ და მხოლოდ ასე შეიქმნან მომავალი. მართალია, ტექნოლოგიურად საკმაოდ წინ წასულ დროში ვცხოვრობთ და რთულია, მოსწყდეთ ტელეფონს, კომპიუტერს და დრო წიგნებს დაუთმო, თუმცა, უნდა გაითავისონ, რომ ამაზე მათი მომავალი, მათი კეთილდღეობაა დამოკიდებული.

# ახალი სასწავლო წელი და რეგულაციები

2020-2021 სასწავლო წლის დაწყებისთვის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგულაციების გათვალისწინებით, სკოლებისთვის რეკომენდაციები შეიმუშავა. არსებული რეკომენდაციების საფუძველზე, 2021 საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წელი საკლასო ოთახებში 15 სექტემბერს განახლდება.

ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციები ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: მოსწავლეებს შორის 1-მეტრიანი დისტანციის დაცვა; შენობაში შემსვლელი ყველა პირისთვის პირბადის სავალდებულო ტარება, გარდა მოსწავლისა; შენობაში ნებისმიერი პირის დეზობარიერი გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის დეზინფიცირების შემდეგ შესვლა; პირბადეების რეზერვის სკოლებში არსებობა; სველი წერტილების სანიტარული დამუშავება ყოველი დასვენების შემდეგ; ცვლებს შორის ნახევარსაათიანი შესვენება, საკლასო ოთახებისა და სკოლის საერთო სარგებლობის ფართების სანიტარული დასუფთავება და განიავება; სიციხიანი და რესპირატორული სიმპტომების მქონე მოსწავლეებისთვის დროებითი საიზოლაციო ოთახის გამოყოფა; ოთახების განიავება გაკვეთილებს შორის დასვენებებზე; ზშირად შესახები ზედაპირების სანიტარული დამუშავება; სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებში (მათ შორის, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამასწავლებლო და ა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისას ყველა პირს (გარდა მოსწავლეებისა) უნდა ეკეთოს პირბადე, მათ შორის დასვენებების პერიოდში და სხვა.

ზემოაღნიშნულ რეგულაციებზე დაყრდნობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, თითოეული სკოლის სპეციფიკისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც ყველა სკოლას საშუალებას მისცემს, ინდივიდუალური შესაძლებლობების, მოსწავლეთა რაოდენობისა და სასკოლო ფართის შორის თანაფარდობის გათვალისწინებით, დაგეგმოს სასწავლო პროცესი.

საშუალო სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს, შესაძლებლობა ექნებათ: თავად განსაზღვროთ გაკვეთილის ხანგრძლივობა (მინ. 30-წუთიანი გაკვეთილები); განსაზღვროთ საგაკვეთილო პროცესის დაწყების დრო საფეხურების/კლასების მიხედვით (08:30 სთ; 08:45 სთ; 09:00 სთ); განსაზღვროთ და მოქნილად დააორგანიზონ ცვლები; საჭიროების შემთხვევაში ერთდროულად სკოლები გადავიდნენ რამდენიმეცალიან მოდელზე და სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებმა იარონ ცვლების მიხედვით; სკოლებმა მოსწავლეების უსაფრთხოებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით შეუძლია დანერგონ შერეული ც.წ. პიბრიდული მოდელი, რაც გულისხმობს სწავლას როგორც საკლასო ოთახებში, ასევე დისტანციურად) სწავლების საკუთარი მოდელი; სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სკოლის ინფრასტრუქტურისგან გამომდინარე და სკოლების განვითარების მიზნით, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო დღე და მოყვებული იქნას შაბათი დღე;

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გაკვეთილების ჩატარება I-IV კლასის მოსწავლეებისთვის სასკოლო სივრცეში სავალდებულოდ განსაზღვრა. სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, შერეული მოდელის დანერგვისას, V-VI კლასებში დისტანციური სწავლება შესაძლებელი იქნება კვირაში მაქსიმუმ 1 დღე, VII - XI კლასებში მაქსიმუმ 2 დღე, ხოლო XII კლასში - მაქსიმუმ 3 დღე. შერეული სწავლების მოდელი შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან.

აღსანიშნავია, რომ ახალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში ჩართულნი იყვნენ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე კერძო, თუ საჯარო სკოლების ადმინისტრაციების წარმომადგენლები.

მნიშვნელოვანია, რომ რეკომენდაციების შემუშავებისას გაზარებულია სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა, რაც გულისხმობს როგორც თითოეული მოსწავლის ჯანმრთელობა-

ზე ზრუნვას, ასევე აკადემიური სტანდარტის დაცვას.

დღევანდელი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს განახლდება. სამინისტროს მიზანია დაცული იყოს თითოეული მოსწავლის ჯანმრთელობის უსაფრთხოება და სრულყოფილი სასწავლო გარემო.

განათლების სამინისტრო აგრძელებს ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრთან თანამშრომლობას და ზედმინივნიტ შეასრულებს ყველა რეკომენდაციას, რაც განპირობებული იქნება იმ დროისთვის არსებული ეპიდემიოლოგიით.

რა ვითარებაა ჩვენი მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და როგორ ვგეგმავთ ახალ 2020-21 სასწავლო წელს მიმდინარე პანდემიის პირობებში, ამის თაობაზე ინფორმაციას გვანდის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი ქსინია ზურაბიშვილი: „მოგესხებებათ, რომ როგორც საქართველოს ყველა სკოლაში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებშიც ექსტრემალურ სიტუაციაში დამთავრდა სასწავლო წელი. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი დისტანციურ სწავლებას. მიუხედავად სწავლების ასეთი სირთულისა, სკოლა დაამთავრა 21-მა ოქროსა და ვერცხლის მედალოსანმა. სკოლებში გვყავს 36 „ჩემი პირველი კომპიუტერის“ საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული. პრაქტიკოსი მოსწავლეები ცდილობენ აიმაღლონ სტატუსი. ამიტომ 37 პრაქტიკოსი პედაგოგი დარეგისტრირდა საშემოდგომო სასერტიფიკაციო გამოცდებზე. სკოლებში თითქმის აღარ გვყავს პრაქტიკოსი მოსწავლეები. პანდემიამ ხელი შეუშალა მოსწავლეებს, რომლებსაც უნდა შეეცვალათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი და გამხდარიყვნენ ნამყვანი პედაგოგები. იანვრამდე ბევრი მოსწავლეები ელოდებოდა გარე დაკვირვების გავლას და სტატუსის შეცვლას.“

ვემზადებით ახალი, 2020-2021, სასწავლო წლის დაწყებისათვის. შემოტანილი და დასაწყობებულია სახელმძღვანელოები და პირველკლასელთა „ბუკები“. სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა სკოლას დაურიგდება სახელმძღვანელოები და „ბუკები“.

საჯარო სკოლებში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მთავრდება სოფელ ზემო მაჩხანის საჯარო სკოლის მშენებლობა და ახალ სასწავლო წელს ზემო მაჩხანის მოსწავლეები სწავლას დაიწყებენ თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ შენობაში. იწყება სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. შეიქმნა ახალი სასწავლო წლისათვის სველი წერტილები იქნება სკოლის შენობაში და მასთან ერთად, მოეწყობა ადაპტირებული სველი წერტილები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის, ხოლო ოთხ სკოლაში იანვრამდე გაკეთდება სველი წერტილები. ასე, რომ დაცული იქნება ის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რომელიც აუცილებელია დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე.

ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში სავალდებულო იქნება იმ რეგულაციებისა და რეკომენდაციების დაცვა, რომელიც განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტრომ ერთობლივად შეიმუშავა. ეს რეგულაციები სკოლებს აძლევს სრულ თავისუფლებას, რომ ისე ააწყონ სასწავლო პროცესი, როგორც მათი სკოლისთვის იქნება უკეთესი. ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები მზად არიან ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის. ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი არ შეფერხდეს.

მინდა, მადლობა გადავუხადო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ნუგზარ პაპიაშვილსა და საერთოდ ჩვენს მთავრობას სკოლებში ასეთი პირობების შექმნისათვის.“

გვერდი მოამზადა ქალბატონმა ზურაბიშვილმა



# კაცობრიობის უკველესი ცივილიზაცია და მასში შემორჩენილი პირველყოფილ ადამიანთა ენა

ამ სიმატიური, ენაგვიანი და ბრბე მამაკაციდან, რომელსაც სურათ-ზე უყურებთ, დღეს, როგორც იტყვიან, ალარაფერია დარჩენილი გარდა სურ-ვილისა, რაც შეიძლება გვერდ ადამიანს გააბეგონოს, რომ აღმოჩენილია კაცობრიობის უკველესი ცივილიზაცია და მასში შემორჩენილი პირველყოფილ ადამიანთა ენა და რომ ეს ცივილიზაცია გახლავთ იბერიულ-კავკასიური ცივილიზაცია. ეს კაცი თანაგვი, იგივე თამურ ნატროვილია, რომლისთვისაც ვერაბ დაავადებას - პარკინსონს დაუბრუნა ხელი და ისე დაუსუსტებია, მის შემხედვარეს გული მოგვიკვამბა: შეზღუდული მოძრაობის უნარი და მტყვპილბეა, ფარი ალარ შირჩინია და სორცი, მებრებ თვალბი არ ემორჩილებიან დაავადებას - აზრინი და გონიერი თვალბი.

ის სოფელ ჯაფარიძეში დაიბადა 1955 წლის იანვარში, ქრისტეშობის მეორე დღეს, ვალიკო და ჟუჟუნა ნატროვილების ოჯახში, ჯულიეტასა და სოსოს შემდეგ მესამე შვილად. სკოლაში კარგად სწავლობდა, მაგრამ გამორჩეულად ფიზიკა და მათემატიკა უყვარდა და ეიოლებოდა. მისი ფიზიკის მასწავლებელი, ნათელა შიშაშვილი, ამბობდა-ხოლმე: „ასეთი მოსწავლე ჩემს საგანში დღემდე არ მყოლია“. მათემატიკის ნიჭი კი მისთვის გენეტიკური იყო, რადგან რაიონში ცნობილი მათემატიკის მასწავლებელი მიშა ნატროვილი მისი მამის ძმა გახლდათ. და კიდევ უყვარდა სიმღერა. გიტარა მისი განუყრელი მეგობარი იყო. სწორედ სიმღერა იყო, ცხოვრებაში კინალამ გზა-გეზი რომ შეაცვლევინა, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

16 წლისა უკვე თბილისის ტექნიკურ ინსტიტუტში ელექტროინჟინერიის სპეციალობას ეუფლებოდა. შესანიშნავი მუსიკალური სმენა და ხმა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ის ინსტიტუტის კაპელაში მიიწვიეს. 1972 წელს მონაწილეობა მიიღო მოსკოვში სსრკ-ს შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში კრემლის სვეტებთან დარბაზში. უკან დაბრუნებისას საქართველოს ცეკას ახლადდანიშნულ პირველ მდივანთან ედუარდ შევარდნაძესთან ერთად მოუხდა მგზავრობა. თვითმფრინავში შემოსულ „პირველ პირს“ ფეხზე წამოდგო-მით და ტაშით მიეგება მთელი კაპელა თავის დირიჟორ-ხელმძღვანელებთანად. მხოლოდ თემური იჯდა გაუძრევლად. „არავითარი პიროვნული ანტიპათია არ გამაჩნდა, უბრალოდ, ჩემთვის მიუღებელი იყო და არის მლიქვნელობის „კულტურა“, - იხსენებს იგი და მთელი ცხოვრება ამ პრინციპისთვის არ უღალატია. 18 წლის ასაკში მან აღმოაჩინა, რომ ცხოვრობს იმპერიაში, სადაც სიცრუე და სიყალბეა გამეფებული, თანაც ისე კი არა, როგორც მრავალ ქვეყანაშია - ფარულად - არა, აქ ყველა ხედავს (იშვიათი გამონაკლისების გარდა) და ემორჩილება კიდევ. მისთვის კი ასეთი ცხოვრება მიუღებელი იყო.

თავიდან შეძლებულ ოჯახში დაბადებულისა და გაზრდილის მიზანი იყო, მოეწყო ფინანსურად უზრუნველყოფილი და კომფორტული ცხოვრება და ამისთვის თითქმის ყველა პირობა ხელს უწყობდა. გამჭრიახი გონება და მომხიბლავი გარეგნობა ყველა კარს უხსნიდა საზოგადოებაში. ერთი პერიოდი გზა-ჯვარედინზე შეჩერებულს გულმა მუსიკისკენ გადასძალა და ოპერის გუნდში მისაღებ კონკურსში მიიღო მონაწილეო-

ბა. მიიღეს და მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური განათლება არ ჰქონდა და ნოტებიც კი არ იცოდა, აბსოლუტური სმენისა და ძლიერი ბარიტონის წყალობით ისეთი სოლისტების ყურადღება დაიმსახურა, როგორებიც იყვნენ ლამარა ჭყონია და პაატა ბურჭულაძე. წარმატების მიუხედავად მინც მეცნიერებას დაუბრუნდა. მან გადაწყვიტა, შინაგანად მიეტოვებინა ყველაფერი და მოეძებნა ცხოვრების ის ნაკადი, სადაც სიყალბის სისტემები ვეღარ ვრცელდებოდა. ახლობლები შეშფოთებულნი იყვნენ, რადგან ეს გზა, მათი აზრით, დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა და რომ გადაერწმუნებინათ, სთავაზობდნენ ან ეცხოვრა როგორც სხვები ცხოვრობდნენ, ანდა, შეუწყვეტდნენ დახმარებას და მოუწევდა არსებობა დამოუკიდებლად, თავის იდეებთან ერთად. მაგრამ, მისთვის სიმართლე და ჭეშმარიტება საკუთარ თავზე ძვირფასი იყო. სასწავლებელზეც გული მალევე აუცრუვდა, რადგან იქაც იგივე სიყალბე მეფობდა, სადაც ინჟინრის დიპლომის მისაღებად საჭირო იყო გამოცდების ჩაბარება ათეიზმში, მატერიალიზმსა და მეცნიერულ კომუნიზმ-



ში. ცხოვრების ასეთ გზაზე პოულობს საზოგადოებისგან გარიყულ გენოსებს, რომლებსაც ირჩევს მასწავლებლად და იღებს კაცვეთილებს, რომლის დარი ძნელად თუ შეუძლია მისცეს რომელიმე უმაღლესმა სასწავლებელმა. ერთ-ერთი ასეთი პიროვნების დახმარებით ის ეზიარება პოეზიის სიმალეებს და 1977 წელს ხსნის გალაკტიონის სიმბოლოებს. ზნეობრივ ბილიკებს თანდათან გაჰყავს ღვთაებრივ გზაზე. პოეზია ხდება საფეხური რელიგიამდე. 1979 წელს ის დეიდასთან პოულობს სახარებას და ეზიარება ღვთაებრივ ცოდნას. მას ჯერ ბოლომდე არ ესმის უფლის სიტყვების აზრი, მაგრამ ხვდება მათ სიდიადეს, რომლებიც მის სულს მალამოსავით ედება და არწმუნებს საკუთარი გადარწმუნების სისწორეში. იგი გულ-

„დამარხულ არს ენაი ქართულ დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებელად. რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“  
იოანე ზოსიმე

მზურვალედ ენაფება უფლის სიტყვებს და ცდილობს, ჩანვდეს მათ არსს შეგნებულად და არა ფანატიკურად, რადგან ხვდება, რომ ქრისტე სინათლეა, ხოლო ფანატიზმი-სიბნელე. ქრისტიანობასთან ერთად ჩნდება ინტერესი სხვადასხვა რელიგიებისა და განმტოვების მიმართ. 1983 წელს იბეჭდება ველური (ინდური) ცივილიზაციის შედევი ბჰაგავატ-გიტა. ეს ნაწარმოები უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მასზე. აქამდე თუ იგი აღფრთოვანებული იყო ევროპული ლიტერატურით, ხედავს, რომ რელიგიური ცნობიერება გაცილებით აღმატებულია. „ყოფნა? არყოფნა? - საკითხავი აი, ეს არის“ - ამბობს დიდი შექსპირის გმირი და სასონარკვეთილებაში იღუპება. კრიშნა კი მეგობრის, არჯუნას (რომელიც ინდივიდუალური სულის სიმბოლოა), ამნაირ სიტყვებზე იღიბება და უყვება მეცნიერებას სხეულზე, სამყაროზე და უკვდავი სულის შესახებ. ეს ცოდნა ეზიარება თემურს ქრისტეს სიტყვების გაგებაში. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან ყველა რელიგია (შეიძლება სხვადასხვა დონით) ერთი სამყაროს და ერთი ღმერთის შეცნობის მცდელობაა. ამავე წელს იბეჭდება ჩინური ცივილიზაციის უდიდესი ქმნილება ლაო-ძის „დაო დე ძინი“. მისი წაკითხვისას ის მოკრძალებით და პატივისცემით ცდილობს ჩანვდეს განსხვავებული რასის აზროვნების არსს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში უძველესმა საიდუმლო სკოლამ შეზღუდულად მოიტანა ცოდნა იბერიულ-კავკასიური ცნობიერების შესახებ. პირველი შესაძლებლობისთანავე თემურ ნატროვილიმ შეაფასა ამ ცოდნის მნიშვნელობა და დაიწყო გულმოდგინედ მუშაობა ამ საკითხზე. პარალელურად ის ეცნობა მსოფლიოს წმინდა წერილებს ავტორიტეტული წყაროებიდან. 1977 წელს მას ესხნება არსობრივი ცოდნა უფალი იესო ქრისტეს მოვლინების შესახებ. ამ ცოდნას კაცობრიობა 2000 წელი ელოდება. იქამდე საუბრობენ ქრისტიანულ დოგმებზე, ქრისტიანულ მორალზე. სინამდვილეში კი სახარებიდან ვიცით, რომ უფალი იესო ქრისტე ყველა დოგმას არღვევს, რადგან დოგმა ჩარჩოა, ღმერთი კი ყველა ჩარჩოს მიღმაა. ქრისტე შეიძლება ხანდახან მორალისტად მოგვეჩვენოს, მაგრამ მორალი და შიში განვლილი ეტაპებია. ქრისტიანობა მორალზე მეტია - ის სიყვარულია! ქრისტეს, როგორც ბრძენს ისე კი არ უნდა ვეხედოდით, - ის თვითონ სიბრძნეა! 2001 წლიდან თემური მთელი არსებით ინტერესდება იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციით და საბოლოოდ რწმუნდება, რომ ეს არის კაცობრიობის უძველესი და უპირველესი ცივილიზაცია. 2012 წლის 1 ნოემბერს აფუძნებს საზოგადოებას „იბერიულ-კავკასიური ცივილიზაცია“ (აიპი). 2012 წლის 24 ნოემბერს პირველივე ექსპედიცია მთაში, სოფელ მუქოში (ფშავი) ნაყოფიერი აღმოჩნდა: მიაკვლიეს პიტეოგრაფიული დამწერლობის ნიმუშებს (პიტეოგრაფიული დამწერლობა ლურსმნულის წინამდებარეა). მასზე აღმოჩენილი ფიგურა - ნიშანი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა - ის ადასტურებს იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის არა მარტო

უძველესობას, არამედ დღემდე უწყვეტობასაც. 2014 წლის 22-23-24 ნოემბერს აკეთებს კიდევ ერთ სენსაციურ



აღმოჩენას: უძველეს ცივილიზაციაში იგი პოულობს კაცობრიობის აზროვნების პირველი ცივილიზებული ნაბიჯების კვალს და აღადგენს სიტყვებს, რომლითაც პირველყოფილი ადამიანები მეტყველებდნენ და ურთიერთობდნენ, მათ კვალს ქართულ ენაში. სწორედ ამ თემას მიუძღვნა თემურ ნატროვილიმ ბროშურა „პირველყოფილ ადამიანთა სიტყვების კვალს ქართულ ენაში“. მისი რედაქტორი ცნობილი პოეტი ერეკლე საღლიანი გახლავთ. ბროშურაში წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები სიტყვებისა, რომლითაც ურთიერთობდნენ პირველყოფილი და უძველესი დროის ადამიანები და მათი კვალი ქართულ ენაში, ასევე ლექსიკონი. და რადგან, გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, არ შეგვიძლია ბროშურის მთელი შინაარსის გადმოცემა, დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ, მოზრძანდნენ რედაქციაში, ან ეწვიონ მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკას და გაეცნონ ამ მეტად საინტერესო ნაშრომს.

მიუხედავად მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, იგი კვლავაც ლიტერატურისა და მეცნიერების სიყვარულით საზრდოობს. მას მზად აქვს ხელნაწერი სქელტანისანი რომანისთვის, მაგრამ ფინანსური შეჭირვების გამო მის დაბეჭდვას ვერ ახერხებს. იღაპს ბიპრი აქვს. ის ფიქრობს და ოცნებობს საზოგადოებაზე, ისეთი საპარტიკლო და ქართული ენაზე, ისეთი ადამიანებაზე, სადაც არ იქნება შური, მლიქვნელობა, ანბარება, ღალატი... სადაც სიყვარული გადასწონის ყველაფერს! პ.ს ჩვენი გაზეთის მერვე გვერდზე მთავარ-ბოლო, თამურ ნატროვილის მოთხრობას „ორადი და მარადიული“.

ნაირა გორაშვილი

# ქალაუფლება ტვინის ფუნქციონირებას ცვლის

**ქალაუფლება რომ რეცეპტით გაცემადი ნაშალი ყოფილიყო, მას გვერდითი მოვლენების გრძელი სია დაერთებოდა. ქალაუფლება გაბრუნებს. მას შინი გარყვნა შეუძლია. ის საკუთარი თავისა და შესაძლებლობების აღკვეთურად აღქმის უნარს გაკარგვინებს. მაგრამ შესაძლებელია, რომ მან ტვინის დაზიანება გამოიწვიოს?**

ისტორიკოსმა ჰენრი ალმსმა ქალაუფლება ხატოვნად რომ დაახასიათა როგორც „სიმსივნის სახეობა, რომლის ბოლო სტადია მსხვერპლის ემპათიის უნარის მოკვლაა“, მას სამედიცინო ენისთვის აუცილებელი მეცნიერული სიზუსტის დაცვის პრეტენზია არ ჰქონია. თუმცა მისი ეს სიტყვები ძალიან შორსაც არ დგას კალიფორნიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორის, ლაქსი კელტნერის თეორიისგან, რომელიც მან მრავალწლიანი ლაბორატორიული და საველე კვლევების შედეგად ჩამოაყალიბა. ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებულ დაკვირვებებზე დაყრდნობით, მან აღმოაჩინა, რომ ქალაუფლების გავლენის ქვეშ მყოფი პირები ისე იქცევიან, თითქოს ტვინის ტრავმული დაზიანება გადაეტანათ - ისინი უფრო იმპულსურები და ნაკლებად ფრთხილები ხდებიან; და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სიტუაციის სხვა ადამიანების გადამოსახედიდან შეფასების უნარი უქვეითდება. ონტარიოს მაკმასტერის უნივერსიტეტის ნევროლოგმა, სუსანდრა ობინამ თავის ნაშრომში მსგავსი სიმპტომები აღწერა. კელტნერისგან განსხვავებით, რომელიც ქვეყნის ტიპებს სწავლობს, ობინამ კონცენტრირდება. როდესაც მან დიდი და მცირე ქალაუფლების მქონე ადამიანების თავები ტრანსკრანიალ-მაგნიტურ-სტიმულაციური აპარატის ქვეშ მოათავსა და შედეგები ერთმანეთს შეადარა, აღმოაჩინა, რომ ქალაუფლება სარკისებრი ნეირონების ფუნქციონირებას აფერხებს, რასაც, დიდი ალბათობით, ემპათიის უნარზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ეს აღმოჩენა იმ ფენომენს, რომელსაც კელტნერმა **ქალაუფლების პარადოქსი** უწოდა, ნევროლოგიურ საფუძველს უქმნის. ამ თეორიის თანახმად პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ქალაუფლების ხელში ჩაგდება იმ უნარების ნაწილს გვაკარგვინებს, რომელთა დაზიანებითაც მოვიპოვებთ ეს ქალაუფლება.


ამ უნართა დაკარგვის დემონსტრირება მეცნიერებმა მრავალი მახვილგონივრული გზით მოახერხეს. მაგალითად, 2006 წელს ჩატარებულ კვლევაში მონაწილეებს სთხოვეს, შეებრებ სხვების დასახებად ასობგერა ე დაეწერათ. ამ დავალების შესრულება ადამიანს აიძულებს, საკუთარი თავი დამკვირვებლის პერსპექტივიდან აღიქვას. იმ ადამიანთა უმრავლესობამ, ვინც თავს ქალაუფლების მქონედ თვლიდა, ე თავისთვის სწორად და სხვებისათვის უკუღმა დაიწერა. სხვა ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ ქალაუფლების მქონე ადამიანები სხვებზე უარესად ართმევენ თავს ფოტოებზე გამოსახული ადამიანების ემოციების იდენტიფიცირებას ან უჭირთ იმის გამოცნობა, როგორ აღიქვა სხვა ადამიანმა მათ მიერ გამოთქმული შენიშვნა ან შეფასება. ამ პრობლემას ამწვავებს ის ფაქტი, რომ ადამიანები თავიანთი უფროსების სახის გამომეტყველებსა და სხეულის ენის მიბაძვისკენ არიან მიდრეკილები. ეს იმას ნიშნავს, რომ დაქვემდებარებულ პოზიციაში მყოფები ქალაუფლების მქონე ადამიანებს საკუთარი განწყობისა და პოზიციის გამოხატველ მინიშნებებს ნაკლებად აწვდიან. თუმცა, კელტნერის თქმით, ამაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ ქალაუფლების მქონე სხვების ქცევის მიბაძვას წყვეტენ. სიცილი, როდესაც სხვები იცინიან და ნერვიულობა, როცა სხვები ნერვიულობენ, უფრო მეტია, ვიდრე პირველობა. ეს ხელს უწყობს იმ გრძობების გაღვივებას, რასაც სხვები განიცდიან, რაც, თავის მხრივ, მათი პერსპექტივის გაგების საშუალებას იძლევა. **ქალაუფლების მქონე ადამიანები „სხვისი გამოცდილების სიმულაციას წყვეტენ“, - ამბობს კელტნერი, - რასაც ემპათიის დეფიციტად მივიყვართ.**

სარკისებრი ნეირონების მეშვეობით ნარმოქმნილი ეფექტი მიმიკრიის შედარებით სუსტი ფორმაა, რომელიც ჩვენს თავში გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. როდესაც სხვას რაიმეს კეთებისას ვუყუ-

რებთ, ჩვენი ტვინის ის ნაწილი, რომლის მეშვეობითაც იმავეს გავაკეთებდით, თანაგრძობითი პასუხის შედეგად ინთება. ამ ფენომენს **ირიბი გამოცდილება** შეიძლება ვუწოდოთ. ეს ჩვენი ტვინის ის უნარია, რომლის გააქტიურებასაც ობინა და მისი ჯგუფი ერთი ექსპერიმენტის მეშვეობით შეეცადა. მათ კვლევაში მონაწილეებს აყურებინეს ვიდეო, სადაც ნაჩვენებია ადამიანის ხელი, რომელიც რეზინის ბურთს კუმშავს.

ქალაუფლების შეგრძნების არმქონე მონაწილეებში სარკისებრმა ნეირონებმა მშვენივრად იმუშავა: მათ ის ნერვული კავშირები გაუაქტიურდათ, რომლებიც რეზინის ბურთის თავიანთი ხელით მოკუმშვის დროს ამუშავდებოდნენ. რაც შეეხება ქალაუფლების მქონეთა ჯგუფს, მათში ეს საპასუხო რეაქცია ნაკლებად შეინიშნა.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მათში სარკისებრი ნეირონი მწყობრიდან იყო გამოსული? უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ისინი, უბრალოდ, ანესთეზირებული გახლდათ. ექსპერიმენტის არცერთი მონაწილე არ იყო მუდმივი ქალაუფლების მფლობელი. ისინი ყველანი სტუდენტები იყვნენ, რომლებსაც თავდაპირველად სთხოვეს, ისეთი ამბავი გაეხსენებინათ, რომლის დროსაც რაღაცას ზედა-



მხედველობდნენ. ამ გზით მათ გარკვეული დროით თავი ძლევაშოსილებად იგრძნეს. სავარაუდოდ, ანესთეზიის მოქმედება ამ შეგრძნების გადავლასთან ერთად შეწყდებოდა - მათი ტვინი ლაბორატორიაში რამდენიმე საათის გატარების შემდეგ სტრუქტურულად ნამდვილად არ დაზიანებულა. თუმცა ეს ეფექტი რომ გახანგრძლივებულად შენარჩუნებულიყო, მათ ტვინებში, შესაძლოა, იმგვარი ცვლილებები მომხდარიყო, როგორსაც სამედიცინო ენაზე ფუნქციურს უწოდებენ. აქ ჩნდება კითხვა: **ხომ შეიძლება, რომ ქალაუფლების მქონე ხალხი, უბრალოდ, აღარ ცდილობს გარშემოყოყვის პერსპექტივის გაგებას?** ობინა ამაზე პასუხის საპოვნელად ჩატარა კვლევა. ამჯერად ექსპერიმენტში მონაწილეებს წინასწარ აუხსნეს, თუ როგორ ფუნქციონირებენ სარკისებრი ნეირონები და სთხოვეს, ცნობიერი ძალისხმევით გაეზარდათ ან შეემცირებინათ თავიანთი საპასუხო რეაქცია. „ჩვენ ისეთივე შედეგები მივიღეთ“, - წერს ის და მისი თანაავტორი ქეთრინ ნეიმი, - „ძალისხმევას არაფერი შეუცვლია“. ეს ერთობ სევდიანი აღმოჩენაა. **ჩვენ გვასწავლიან, რომ ცოდნა ძალაა. მაგრამ რა სარგებლის მოტანა შეუძლია იმის ცოდნას, რომ ქალაუფლება ცოდნისგან გვძარცვავს?** ამ რეალობის ყველაზე ნათელი მხარე ალბათ ისაა, რომ ეს ცვლილებები მხოლოდ ხანდახან არის მავნებელი. ქალაუფლება, კვლევითა თანახმად, ჩვენს ტვინს პერიფერიული ინფორმაციის გაფილტვრისკენ უბიძგებს. უმეტეს შემთხვევაში ეს სასარგებლო უნარია, რადგან ის ჩვენს ეფექტიანობას ზრდის. მაგრამ სოციალიზაციისას მას არასახარბიულო გვერდითი მოვლენები აქვს, რადგან სხვებისადმი უგრძობლებად გვაქცევს. და ესეც კი არ არის აუცილებლად ცუდი თვისება, თუ საკითხს ქალაუფლების მქონე ადამიანის პერსპექტივიდან შევხედავთ და იმ ჯგუფის ინტერესებსაც გავითვალისწინებთ, რომელსაც ის უძღვე-

ბა. სუსან ფისკი, პრინსტონის ფსიქოლოგიის პროფესორი, დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ქალაუფლება გარშემომყოფთა კომპლექსური ნაკითხვის უნარს აქვეითებს, რადგან ის იმ რესურსების განკარგვის შესაძლებლობას გვაძლევს, რომლის სხვებისგან მოპოვებაზე ზრუნვაც ადრე გვიხდებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, თანამედროვე ტიპის ორგანიზაციებში ქალაუფლების შენარჩუნება რაღაც დონეზე ჯგუფის სხვა წევრების თანადგომითაა შესაძლებელი. და როცა ლიდერები რესურსების გადანაწილებაში ბალანსს ვერ იცავენ, ეს ხშირად მათ საზიანოდ ტრიალდება ხოლმე. როცა ადამიანების ინდივიდუალური თვისებების აღქმის უნარი ქვეითდება, ისლა დაგრჩენია, რომ მეტად დაეყრდნო სტერეოტიპებს. ამასთან, როგორც სხვა კვლევები მოწმობენ, ასეთ დროს ქალაუფლების მქონე ადამიანი სულ უფრო მეტად ხელმძღვანელობს საკუთარი ხედვით, რომელსაც ობიექტური მტკიცებულების სტატუსს ანიჭებს.

**არსებობს თუ არა გამოსავალი?**  
ერთდროულად, არა და კი. **როულია, ტვინს უბრძანო, აღარ მოექცეს ქალაუფლების ზეგავლენის ქვეშ. ამაზე გაცილებით მარტივი ისაა, რომ დროდადრო მაინც არ იგრძნო თავი ძლევაშოსილად. „როცა საკითხი ჩვენი აზროვნების ფორმის შეცვლას**

**ხება, - ამბობს კელტნერი, - ქალაუფლება არ უდრის რაიმე თანამდებობის ქონას, - ეს უფრო ფსიქიკური მდგომარეობაა.“** მისი ექსპერიმენტების შედეგები იმაზე მიანიშნებენ, რომ იმ გამოცდილებების გახსენებით, რომელთა დროსაც თავს ძლევაშოსილად არ ვგრძნობდით, ჩვენს ტვინს რეალობის ადეკვატურად აღქმის უნარს ვუბრუნებთ.

როგორც ჩანს, ზოგიერთ ადამიანზე უსუსურობის განცდის მომგვრელი გამოცდილების გახსენება მართლაც მოქმედებს და, თუ ეს მოგონება საკმარისად ძლიერია, მას მუდმივი დაცვითი მექანიზმის ფუნქციის შესრულება შეუძლია. **The Journal of Finance**-ში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, დირექტორები, რომლებიც ბავშვობაში ადამიანური მსხვერპლის გამოწვევ სტიქიურ უბედურებას გადაურჩნენ, იმ დირექტორებზე გაცილებით ნაკლებად რისკიანები იყვნენ, რომლებსაც მსგავსი გამოცდილება არ გადაუტანიათ (ერთი პრობლემა, - ამბობს კვლევის თანაავტორი და კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი რაბაჰანდარ რაჰუ, - ის არის, რომ ის დირექტორები, რომლებიც ნაკლებად სახიფათო სტიქიურ უბედურებას გადაურჩნენ, ყველაზე ხშირად მიდიან რისკებზე). თუმცა ქარიშხლები, ვულკანების ამოფრქვევები და ცუნამები ამპარტანების ერთადერთ შემკავებელ ძალას არ წარმოადგენენ. **PepsiCo**-ს ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი და თავმჯდომარე, **ინდრა ნუი** ხშირად იხსენებს ხოლმე 2001 წლის იმ დღეს, როდესაც შეიტყო, რომ კომპანიის საბჭოს წევრად დანიშნეს. როცა ის სახლში საკუთარი მნიშვნელოვნებისა და ძლევაშოსილების გრძობითი სავსე დაბრუნდა, დედამისმა სთხოვა, სანამ შენს „შესანიშნავ ამბავს“ მოყვები, მალაზიაში ჩადი და რძე იყიდო. ნუი რძის ამოსატანად განრისხებული წავიდა. „ეგ შენი გვირგვინი ავტოფარეხში დატოვე ხოლმე“, - ეს იყო დედამისის რჩევა,

როდესაც ის სახლში დაბრუნდა. სინამდვილეში, ამ ამბავში ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მას ნუი ჰყვება. ამბის ასე გახსენება ყოფითი ვალდებულებებისა და თავმდაბლობის არდავინყებას ემსახურება. ნუის დედა ამ ისტორიაში რეალობასთან დამაკავშირებელი ძალის განსახიერებაა.

უინსტონ ჩერჩილისთვის ადამიანი, რომელმაც ეს როლი შეასრულა, მისი ცოლი იყო. კლემენტინის ეყო გამბედაობა, ეს სიტყვები დაენერა: „ჩემო ძვირფასო უინსტონ. უნდა ვაღიარო, მე შევამჩნიე, როგორ უარესდება შენი ქცევა; და შენ ისეთი კეთილი აღარ ხარ, როგორც იყავი“. ეს სიტყვები, რომელიც მან ჰიტლერის პარიზში შესვლის დღეს დაწერა, მერე დახია, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც გააგზავნა, შემფოთებას გამოხატავდა და არა - ჩივილს. როგორც თავად კლემენტინი წერს, ვიღაც მას გამოუტყდა, ჩერჩილი შეხვედრებზე ხელქვეითების მიმართ „იმდენად ადგილებულად“ იქცევა, რომ მათგან აღარანაირი იდეა - კარგი თუ ცუდი - აღარ გაუღერდება, რადგან ყველას ხმის ამოღების ეშინიაო.

**ლორდ დევიდ მუნი** - ბრიტანელი ნევროლოგი, რომელიც პარლამენტარი გახდა და ბარონის სტატუსის მიღებამდე საგარეო საქმეთა მინისტრად მსახურობდა - ჩერჩილისა და სხვა გავლენიანი ადამიანების მსგავს ისტორიებს თავის 2008 წელს გამოცემულ წიგნში, „ავადმყოფობასა და ქალაუფლებაში“, უყრის თავს. წიგნის მიზანი იმ დაავადებათა დოკუმენტირებაა, რომლებმაც 1900 წლიდან მოყოლებული ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებისა და ამერიკის პრეზიდენტების საქციელზე დიდი გავლენა იქონია. მაშინ, როცა ზოგიერთი ინსულტისგან (ვუდრო უილსონი), ზოგი მავნე ნივთიერების ბოროტად გამოყენებისგან (ენტონი იდენი), ზოგიც კი, სავარაუდოდ, ბიპოლარული აშლილობისგან (ლინდონ ჯონსონი, თეოდორ რუზველტი) იტანჯებოდა, ლიდერთაგან მინიმუმ ოთხს ისეთი კონდიცია აღენიშნებოდა, რომელსაც სამედიცინო ლიტერატურაში შესაბამისი ტერმინი არ მოუპოვება. ოუენი ამტკიცებს, რომ ეს ვითარება გამოსასწორებელია.

**ჰუბრისის სინდრომი** - ასე უწოდებს ის და მისი თანაავტორი, ჯონათან დევიდსონი, ამ კონდიციას 2009 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, სახელწოდებით „ტვინი“. ნაშრომში ტერმინი ამგვარადაა განმარტებული: „ეს არის ქალაუფლების ფლობით გამოწვეული აშლილობა; კერძოდ, ისეთი ქალაუფლების, რომელიც გაიგივებულია უზარმაზარ წარმატებასთან, წლების განმავლობაში წარჩუნდება და მის მფლობელს ლამის შეუზღუდავ უფლებებს აძლევს“. ამ მდგომარეობის 14 კლინიკურ მახასიათებელთა შორისაა: სხვისი დაუფარავად აბუჩად აგდება, რეალობასთან კონტაქტის დაკარგვა, დაუდევარი ან დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმა და არაკომპეტენტურობის გამოვლენა.

ოუენი აღიარებს, რომ ამპარტანებისადმი გაკონტროლებული მიდრეკილება თავადაც ახასიათებს. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ის იმ სტრატეგიებს ჩამოთვლის, რომელიც რეალობის ადეკვატურად აღქმის უნარის შენარჩუნებაში ეხმარება. ესენია: წარსულიდან იმ ამბების გახსენება, რომლებიც ამპარტანულ განწყობას გაფანტავს; რიგითი ადამიანების შესახებ დოკუმენტური ფილმების ყურება; ამომრჩეველთა წერილების კითხვის ჩვენება.

**თუმცა ოუენის ამპარტანების ყველაზე ეფექტიანი გამკონტროლებელი, შეიძლება, ის გარემოება იყოს, რომ ქალაუფლების გამრყენელ მხარეზე ჩატარებულ მის კვლევებს ინტერესით არც ბიზნესის სფერო ეკიდება და არც - განათლების. მართალია, კონკრეტულად ოუენზე ამ ვითარებას დადებითი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ქალაუფლების მავნე მხარეების გამოვლენისადმი მსგავსი დაუინტერესებლობა პოლიტიკისა და ბიზნესის სფეროში სიტუაციის გამოსწორების მსანებს ნამდვილად ამცირებს.**

მაომაზადა  
ხათუნა ბენაშვილი





გაზეთი „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიანი ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადაწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

„ახალი შირაქი“, 1955 წელი, 19 აგვისტო

„წყლის მიწოდების საკითხი უნდა გაუმჯობესდეს“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 7 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული იყო „საქნავთის“ წითელწყაროს ბურღვის კანტორის ალანის წყალსადენის მუშაკები, რომლებმაც მიმდინარე წლის 31 ივლისს, სოფელ ზემო ქედისა და ქვემო ქედის მოსახლეობა ვერ უზრუნველყვეს სასმელი წყლის მიწოდებით. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა „საქნავთის“ მირზაანის სარენაოს გამგეს. როგორც, ამხ.ბარბაქაძე გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. მიღებულია ზომები წყლის შეუფერხებელი მიწოდებისათვის.

„ახალი შირაქი“, 1955 წელი, 19 აგვისტო

7 წელია არბოშის კალინინის სახელობის მეცხვარეობის ფერმაში მუშაობს ახალგაზრდა კოლმეურნე შალვა დათუკიშვილი. იგი საკოლმეურნეო ცხვარს უნარჩუნად უვლის. სხვა საუკეთესო წარმატებებთან ერთად, შალვა კარგად დაეუფლა ცხვრის ელექტროსაპარს აგრეგატზე მუშაობის ტექნიკას. ის მიმდინარე წელს დაბრუნდა საბჭოთა არმიის რიგებიდან და კვლავ ფერმაში მოვიდა სამუშაოდ. ახლა შალვა ბატკნის პარსვაზე მუშაობს და დღეში გეგმით გათვალისწინებული 33 კილოგრამის ნაცვლად, 75 კილოგრამ მატყლს პარსავს. ამასთან იგი პარსვას ანარმოებს სუფთად, რითაც ზრდის მატყლის ქსოვის უნარჩუნობას. შალვას არც მისი თანატოლი ა.სახნიაშვილი ჩამორჩება, რომელიც ყოველდღიურად 70 კილოგრამ მატყლს პარსავს.

ახალგაზრდა მპარსველები ერთმანეთს ეჯიბრებიან მაღალნაყოფიერ შრომით.

მოღვაწეობს პ.პატატიშვილი \*\*\*

„ახალი შირაქი“ 1955 წელი, 24 აგვისტო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად, უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. დღითი დღე იზრდება და ლამაზდება სოფელი არბოშისკი. სოფელს აქვს საავამდყოფო, კლუბი, საშუალო სკოლა. მოსახლეობის კულტურულ მომსახურების მიზნით, თითქმის ერთი წელია ყველა კოლმეურნის ოჯახი

ელექტროფიცირებული იქნა, მაგრამ მოსახლეობის ელექტროდენით მომსახურებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. სინათლეს მოსახლეობას მხოლოდ დღისით აქვს, საღამოს საათებში კი დენი ითიშება, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ასევე ითქმის რადიომომსახურებაზე. ჯერ ერთი, რადიოფიცირებული არ არის და რატომღაც მხედველობიდან გამორჩათ „კოტაანის“ უბანი, ხოლო სადაც კი რადიოფიცირებულია, იქაც რადიო ხანგამოშვებით მუშაობს.

ამ მდგომარეობის გამო სოფლის მშრომელები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. საჭიროა რაიონის სათანადო ორგანოებმა სოფელ არბოშისკის მოსახლეობის ამ სამართლიან მოთხოვნას სათანადო ყურადღება მიაქციონ.

ზ.ალოშვილი

„ახალი შირაქი“, 1968 წელი, 3 აგვისტო

წითელწყაროს საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე, ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, გახსნა საჯარო ფარდული, სადაც იყიდება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: ახალი ხორცი, ცოცხალი წინილები, კვერცხი, ყველი, რძე, თაფლი, პამიდორი, კიტრი, ვაშლი, ახალი, ცოცხალი თევზი და სხვ. ყველა დასახელებული პროდუქტები, ბაზრის ფასებთან შედარებით იყიდება 30-40% პროცენტის ფასდაკლებით. მომხმარებელი დიდ მადლობას გამოთქვამს ამ ფარდულის გახსნის გამო.

ს.განგოშვილი, ქ.დედოფლისწყაროს საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორი.

\*\*\*

დამთავრდა კომკავშირის 50 წლისთავისად მიძღვნილი წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდობის პირველი სპორტული თამაშები, რომელიც 5 თვეს გაგრძელდა. თამაშების პროგრამაში იყო ქართული, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, მძლეოსნობა, სიმძიმეების აწევა, ტყვიის სროლა, ველოსპორტი, შაში, ფრენბურთი, ხელბურთი და სხვ.

ყველაზე მეტ სახეობაში მონაწილეობდა და სპორტის ცალკეულ სახეობებში კარგი მაჩვენებლებით (53 საჯარიმო ქულა) პირველი ადგილი დაიკავა ჯაფარიძის კოლმეურნეობამ (ფიზკულტურის ინსტრუქტორი ო. სისაური), 97 ქულით მეორეზეა ზემო მაჩხანის კოლმეურნეობა და 109 ქულით მესამეზეა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა.


გასულ წელს სპარტაკიადის თასის მფლობელი ზემო ქედის კოლექტივი, მეოთხე ადგილზე გამოვიდა, რაც მხოლოდ ფიზკულტურის ინსტრუქტორის ნ.ქენჭაძის სამუშაოსადმი გულგრილ დამოკიდებულებას უნდა მიენეროს. მეხუთე ადგილზეა არხილსკალოს, მეექვსეზე - ზემო ქედის, მეშვიდეზე - გამარჯვების, მერვეზე - საბათლოს, მეცხრეზე - არბოშისკის კოლმეურნეობები, აქედან არბოშისკმა მხოლოდ ორ სახეობაში მიიღო მონაწილეობა. თამაშების პროგრამის არცერთ სახეობაში არ მიიღეს მონაწილეობა ოზანის და წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობების და შირაქის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდებმა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ კოლექტივებში კვლავ არაფერს ფიქრობენ და ჯეროვნად ვერ აფასებენ სპორტს.

პ.პატატიშვილი, ნსს „კოლმეურნეოს“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე \*\*\*

„ახალი შირაქი“, 1968 წელი, 13 აგვისტო

ჩვენმა სანარმომ, რომელიც რაიონის სამშენებლო ობიექტებისათვის ამზადებს სხვადასხვა სახის მასალებს - აგურს, კირს, ბლოკებს, გაჯს, ოლიფას და სხვ, ნახევარი წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. დღეისთვის 1 მილიონ 700,000 ცალი აგური, 2,500 ტონა კირი, 1,000 კუბური მეტრი ბლოკი და 900 ტონა გაჯი გამოვუსვით. მშენებლის დღეს დიდი მიღწევებით შეხვდნენ ჩვენი მონივრე მუშები: აგურის ოსტატი ალიევ ნაგრუზა და მუშა მიხეილ მურზალიევი, ყოველდღიურად 12,000

პროფილიანი მონაწილეობის განცხადება. შიული (პორის) მიხეილის ქა კახეთელიძე. ჩვენი საყვარელი პაპა, 24 აგვისტოს გავა 40 დღე, რაც სამუდამო სასუფევლოში გადაინაცვლე. შენს დაბადების დღეს - 11 ოქტომბერს, ვეღარ მოესწარა. უკურნებელმა სენმა დაგვრია ხელი და თითი წელი მიგაჯაჯვა სარეცელს. გარს გვხვით შენი ახლობლები, მაგრამ ვერ ვაჯობებ ულამობელ სიკვდილს. შენს შვილებსა და შვილიშვილებს არ დაგვაინწყდება შენი ნაღვლიანი გამოხედვა, თითქოს გვეხვეწებოდით, მიშველეთო... მაგრამ უძლურები აღმოვიქნეთ. პაპა, როგორც დაგვიბარე, შენმა შვილიშვილებმა ჩვენი მხრებით მიგაცილეთ შენს სამუდამო განსასვენებელში. ახლაც ჩაგვესმის შენი ხმა-თქვენი ჩემი სიხარულები ხართო. ჩვენც ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. დაე, ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს ზეციურ სასუფეველში, სადაც მართალი განისვენებენ. გპირდებით შენი ახლობლები, შვილები, შვილიშვილები და მართოდ დარჩენილი შენი მეუღლე, ნანა ბებო, არ დავიწყებთ შენს ალალ, უბოროტო სულს. 24 აგვისტოს მოვალთ შენს საფლავთან, რათა პატივი მივავით შენს ნათელ სსოვნას. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მირზაანის მიწა. ღმერთს ებარებოდე. შეილება: კახაბერი, მიხეილ (დათო) კახეთელიძე; რძლები: კაინი მებრძველი, ჯინაბა პლიპაძე; შვილიშვილები: ნინა, პაპა, გიორგი, ზურა; მეუღლე: ნანა იაქოვიშვილი, სიღვრი ნაზო იაქოვიშვილი.



აგურს ამზადებენ, რაც დიდად აღემატება გეგმიურს. ალექსანდრე გუნჩინმა კი ამ დღის აღსანიშნავად წლიურ დავალებას გადააჭარბა და გეგმიური 240 ტონის ნაცვლად, 249 ტონა ოლიფა დაამზადა.

ნ.ქიზიშვილი, წითელწყაროს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი

\*\*\*

„ახალი შირაქი“, 1968 წელი, 24 აგვისტო

ბავშვები, როგორც წესი, ყველაზე ერთგული და ნაკლებმომთხოვნი ტელემეყურებლები არიან. ისინი მზად არიან უყურონ ზედიზედ ყველა ტელეგადაცემას. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ გადაცემათა ასე ბოროტად გამოყენება საზიანოა ჯანმრთელობისათვის, ირღვევა რეჟიმი, მცირდება გასეირნებათა, თამაშობათა დრო, ზოგჯერ კი ძილისაც. რაც მთავარია, ეს ცუდად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

უმცროსი ასაკის, განსაკუთრებით ნერვული, შთამბეჭდავი ბავშვები, გადაცემათა ასეთ ყურებას ხშირად გამოყავთ წონასწორობიდან, თუნდაც, ისეთ, უყინარ ბავშვებისათვის სპეციალურად მომზადებულ გადაცემებს, როგორც არის „ლამე მშვიდობისა, პატარებო“. ბავშვები სხვადასხვანაირად აღიქვამენ. ერთნი მას მშვიდად, მხიარულად უყურებენ, სხვები ძალიან ლელავენ, ეშინიათ რამე უბედურება არ შეემთხვეს ზღაპრის გმირებს.

ბავშვებს, რომლებსაც აწუხებდა ნერვული ალგზნებულება ახასიათებთ, ექიმი ჩვეულებრივად ურჩევს ღამ-ღამობით არ წაიკითხონ ზღაპრები, განსაკუთრებით „სამიში“, შინაარსიანი, ნუ ითამაშებენ ხმაურიანი სათამაშოებით, ერიდონ ძილის წინ ზედმეტ ალგზნებას. დააკვირდით ბავშვის საქციელს, როცა ის გადაცემას უყურებს, თუ ბავშვი ძალიან ალგზნებულია, ფითრდება, წამოიყვირებს, ხოლო მერე დიდხანს ლელავს, საჭიროა, საესებოთ გამოვირიცხოთ ტელევიზორი ან ნება დართოთ უყუროს გადაცემებს კვირაში ერთხელ. კარგია თუ ბავშვმა წინასწარ იცის გადაცემის შინაარსი.

უფროსი ასაკის ბავშვებს, მოსწავლეებს, შეუძლიათ უყურონ გადაცემებს კვირაში ორ-სამჯერ და სასურველია ყურება მთავრდებოდეს დაძინებამდე ერთი საათით ადრე.

საჭიროა, აგრეთვე, თვალი ვადევნოთ, მხედველობის ჰიგიენის წესების დაცვას. ბავშვებს უყვართ ტელევიზორთან ახლოს ყოფნა, ეს კი ძალიან მავნებელია. საჭიროა მანძილი ეკრანიდან თვალბამდე სამი მეტრი მაინც იყოს.

ერთი საათის ყურების შემდეგ, სკოლის ასაკის ბავშვებს, ემჩნევათ მხედველობის გადაღლა. სასურველია ამ ვადის დაცვა ან უკიდურეს შემთხვევაში ცოტათი გადაცილება. სკოლამდელი ასაკის ბავშვებმა ტელევიზორს უნდა უყურონ არაუმეტეს 20-30 წუთისა.

პატივი ნ.ნოვოსელტოვა

\*\*\*

„ახალი შირაქი“, 1955 წელი, 12 აგვისტო

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა წელს ორგანიზებულად მოაწყვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანა თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე. მათ თბილისელი მშრომელებისათვის მისაყიდად ჩაიტანეს მზესუმზირას ზეთი, თაფლი, ყველი, კარაქი, კვერცხი, ერბო, აგრეთვე პირუტყვი და ბოსტნეული.

სოფელ გამარჯვების ფდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ გასაყიდად გაიტანა 104 კილოგრამი მზესუმზირას ზეთი, 108 კილოგრამი თაფლი, 50 კილოგრამი ყველი, 650 ცალი კვერცხი და სხვა პროდუქტები; დიდი რაოდენობით გაიტანა მეცხოველეობის პროდუქტები და ბოსტნეული ზემო ქედის სტალინის სახელობის, წითელწყაროს ლენინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. სასოფლო-სამეურნეო სარეალიზაციოდ გამოტანა თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე გრძელდება.

დ.ქადაბიძე

ეთერ ფიცხელაური, გოდერძი აბულაშვილი ოჯახით სამიძიმარს უცხადებს ნინო აბულაშვილს, გენადი, ინგა, სალომე, გუგა ხომტარიებს, ამირან გახოკიძეს დედისა და ბებულის, ასმათ ლაპრანტიის ასულ ერასე-ხომტარიას გარდაცვალების გამო. დაიკრძალა 15 აგვისტოს, ქალაქ რუსთავში.



# „ორადი და მარადიული“

„ორადი და მარადიული“ თენგიზ ნატროშვილის პირველი ნაწარმოებია. ნოველაში ჩანს მატერიალური სამყაროს ორმაგობების ფონზე (წარმოსახვის გასაძლიერებლად ავტორი რამდენიმე ადგილზე შეგნებულად არღვევს დროს) პიროვნებაში გონებრივი და ემოციური რყევების ფონზე გაორებიდან როგორ იბადება დროის მიღმა მყოფი სულიერი - მარადიული.

## ორადი და მარადიული

„თქვენ რომ წუთისოფლისანი ეოფილიყავით, წუთისოფელსაც ევყარებოდა თავისიანები“ იოანე XV.19

„წარსულში, მომავალში წვევლით გადავუშვები. რომ ძეგლები აუმაწთო მღვრიე მშვენიებათათვის.“ გალაკტიონი

საგარეუბნო მატარებელი მორიგ სადგურში შეჩერდა და გზა ისევ გააგრძელა.

ლიანდაგები გორაკებს შუა მიიკლაკნება. გორაკებს მინდვრები ცვლის და მატარებელი ბუნებაში მიცურავს.

ვაგონის ფანჯრიდან მოჩანს გრძელი პეიზაჟი. გვიანი შემოდგომაა კახეთში. გარემოს ზამთრის სუნთქვა შეუგრძვინა. ხალისიანი ფერები გამქრალა, ხეებს ფოთლები სცვივა, ზოგს კიდევ შემოძარცვია. ტყე და გზისპირა ჭადრები ნაზი, მკვეთრი და ნათელი ფერებით შემოსილა; მწვანე ფოთლებს წყლის სილურჯე ტოვებს, ყვითლად და ალისფერებად ანთებულან ( მზისა და ცეცხლის ფერები. მიღმიერი-ტრანსცენდენტული)-თითქოს მინაზე დაშვებამდე ზეცას ეხმანებიან და ეთხოვებიან.

ქარსაცავების ზოლის პალიტრა; მუქნი-თელფოთლები თრიმლები. ფშატები. ჯერ ისევ მწვანე და გადაყვითლებული ბუჩქოვანი მცენარეები ქმნის ახლადდაღვრილი სისხლის - მოახლოებული სიკვდილის შთაბეჭდილებას.

ვაგონში კი, მეჩვენება, სულ სხვა სამყაროა. ხალხი უაზრო ამბების ყაყანში ცდილობს დროის მოკვლას. ახალგაზრდები, ექვსადგილიან სკამებზე ერთმანეთის პირისპირ რომ დამსხდარან, მხიარულობენ და სხვადასხვა თამაშებით იქცევენ თავს. ერთ განყოფილებაში ჩემოდნებით მაგიდა მოუწყვიათ და ოთხნი „ჯოკერს“ თამაშობენ. მათ წინ, ნაპირზე 25 წლის ვაჟი და ოციოდე წლის მომხიბლავი გოგონა საერთო განწყობას გამოთიშვიან და ფანჯარას გასცქერიან. სინამდვილეში მათი გონების მზერა ფანჯრის მიღმა არ მიემართება.

ვაჟის თვალბში მოჩანდა ძლიერი ტკივილი და მწუხარება, სულში რომ დაესად-

გურებინა. მასში შინაგანი ბუნება გარეგანს შერკინებოდა. ერთ ნერტილში გაჯერებულიყო, მეტი შემართებისგან მზერა და ყველა გრძობა გაჰყინვოდა - თითქოს მარმარილოდ ქცეულიყო და საკუთარი ბრძოლის ობელისკი აეგო. მისი ნაკვთებიც იმსახურებს ძეგლის დადგმას: თხელი, ნათელი, დასრულებული-კლასიკური გარეგნობა. არცერთი ულამაზო ნაკვთი - თითქმის უნაკლო. იშვიათია, მამაკაცი იყოს ასეთი ულამაზი. „მწუხარე სილამაზე“ - ასე დავარქმევდი ამ ძეგლს მოქანდაკე რომ ვყოფილიყავ.

მაფიქრებს: ასახვის როგორი შემართებით ვქმნით ამდენ გაქვავებულ ძეგლებს, როდესაც დრო ყველა მატერიალურ ქმნილებას დაუნდობლად ანადგურებს. მშვენიერებამ რომ ცოცხლად იდინოს.

## ნუთუ ასე გვეძახის მარადისობა? ან რატომ უნდა იყოს სილამაზე მწუხარე აყვავების ხანაში?!

არც გოგონა იმზირება ფანჯრის მიღმა. დროდადრო გულთან მიხუტებულ ყვავილებს ყნოსავს და ვაჟისკენ აპარებს მზერას. ჩანს, რომ მისმა გარეგნობამ მოხიბლა.

-ერთი ნაგლეჯვა?-ისმის კარტის მოთამაშეთა ხმები.

-შენი ტარებაა!..

ირგვლივ-საერთო ქაოსი.

მგზავრები ამოდიან და ჩადიან.

-ორი მე ნამგლიჯა, შენ შეგეტენა. შენი ბრალია, რომ მოჯოკრე. რალა ჩემი მოჯოკრე. ეს გაგეფუჭებინა პრემიაზე რომ მიღის“!..

ცოტაც და ლამის შეურაცხყოფაზე გადავლენ და თითქმის ისედაც ყველაფერი შეურაცხადია.

მატარებელი მომდევნო სადგურში გაჩერდა და შემხვედრს ელოდება. მუსიკა ისმის: „ცისფერი ტრიო მღერის“. „ბატონები“ - ასე ჰქვია ამ სიმღერას. აბესაძის გამოკვეთილი პირველი: - „ნეტა მართლა ბატონები დამემართოს და ძვირფასო შენი თავი ამარჩემა“ თუ არ ვცდები, ეს სიტყვებია.

-როგორ მიყვარს ამათი სიმღერა!- მეზობელ სკამიდან ნამოიძახა ახალგაზრდა, დაბალმა, პირმრგვალმა ქალმა, იქამდეც მთელი გზა, ემოციურად რომ ესაუბრებოდა ნაცრისფერლაბადიან, გამხდარ მანდილოსანს.- თავისივე სოფლის სკოლის მასწავლებელს.

-ჰო, კარგი მუსიკაა!-თავდაჭერილი სერიოზულობით დაეთანხმა თანამოსაუბრე.

-განსაკუთრებით სიტყვები! - ჩუმად, მაგრამ ვაჟის გასაგონად, ოდნავ შეყოვნებით ჩაილაპარაკა გოგონამ.

ისიც თითქოს გამოერკვა, თავი მიაბრუნა და არაამქვეყნიური თვალბებით შეხედა.

-ნამდვილად მაშინ გიყვარს, როდესაც თავ-

განწირვა შეგიძლია,- დააკონკრეტა გოგონამ.

ბედნიერმა ყოფიერებით და ვაჟთან, რომ საშუალება მიეცა. (დღეს გამცილებლისგან გაიცნო).

-ვერ დაგეთანხმებით, -თქვა ვაჟმა, - ძალიან გულუბრყვილო ტექსტია და საკითხავია რა უფროა-თავის მოტყუება თუ სხვებისა...

რომ შეგიყვარონ, უნდა მოატყუო, ასეთი სიტყვებით გაასულელო. სინამდვილეში მიმდინარეობს ბრძოლა ხასიათებისა: ვინ ვის ნაკლებად აინტერესებს და ეს ბრძოლა გვხვდება ყველგან, თვით საკუთარ ოჯახსიც.

ჭეშმარიტი სიყვარული თვითონ ჭეშმარიტების სიყვარულით იწყება. ჩვენ კი, სამწუხაროდ, სიცრუე უფრო შევიყვარეთ. **განა სიცრუეს შეუძლია ნამდვილი სიყვარული?!** ვხედავ, ადამიანებისთვის სიმართლე სისულელედ ითვლება და ჭეშმარიტება მხოლოდ წარსულში, ანუ მათთვის მკვდარია მისაღები. ამიტომ ადიდებენ ჯვარცმულებს და ჯვარცმულებს ერთად.

... მაგ სიმღერის ტექსტით თუ ვიხელმძღვანელებთ, სიყვარული ნამდვილად მხოლოდ მიგვატოვებს, რადგან რაც უნდა კარგი აიჩემო, ყველას თავს მოაბეზრებ და თუ თან დაავადდი, - საერთოდ არავის ენდომები. ადამიანები ავადმყოფებს კი არა, ჯანმრთელებსაც ვერ იტანენ ხშირად...

გოგონა გაცემული უსმენდა, ჯერ შინაგანად ვერ მორეოდა ამდენ უცნაურ აზრებს. გონებამ არ იცოდა, ეთანხმებოდა თუ არა, თუმც ყველაფერში ეთანხმებოდა მთელი მისი სხეული და ის გრძობა, გონების მიღმა რომ დგას.

-თვით საკუთარი დედისთვისაც-დრო ველარ მოზომა ვაჟმა,- რომელიც ალბათ ყველაზე უანგაროა, მოსიყვარულე, პატიოსანი და კეთილი, შვილი იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ისინი, ვინც სული გაყიდეს და „მალალ კლასებში“ სავარძელი შეიძინეს. შეყოვნდა, ხმაში სევდა შეეპარა, მზერა დაუმძიმდა... და თითქოს თავისთვის გააგრძელა: - ხანდახან გგონია, ვინმეს მართლა უყვარხარ. მაგრამ, თუ არ აეჭვიანე, გავადრო და მოულოდნელად დიდ სიცივეს შენიშნავ, მის გულსა და ფიქრებში შენი თავი ველარ გიპოვია. - რომ შეგიყვარონ, სხვის გრძობებზე უნდა ითამაშო. ამ ქვეყანაზე რომ შეგიყვარონ, - უნდა აიძულო! ბოლო სიტყვებში თითქოს აზრმა გზა იპოვაო, გულზე მოეშვა, გადანყვევით თქვა და გოგონას თვალბში შეხედა. მხოლოდ ახალა შენიშნა მისი აღფრთოვანებული მზერა, ახალა შეიცნო იქ ყოფნა და გაიფიქრა: „როგორ ვიქცევი... როგორი სიყვარულით მიყურებს“... - შეეშინდა ტკივილი არ მიეყენებინა.

უეცრად შინაგანად საოცარი სითბო ჩაელვარა, გაჟონა, ყველა წინააღმდეგობა გაალო და გულში სიცოცხლედ ამოანათა.

ეს სითბო ქრისტეს მწუხარე ტაძარში და გაზაფხულზე (მატარებლიდან) მინდვრის ბალახების მშვენიერებაში დამინახავს.

თბილისი, 2003 წელი.

## ულოცავენ! ღიკა ნიკვაშვილს!

ჩვენო ძვირფასო ღიკა, გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს-25 აგვისტოს. რა უცებ გასულა 33 წელი. შენ ჩვენი მწიგნობართა ასოციაციის წევრი ხარ. დედაქალაქში გამართულ ღონისძიებებში ყოველთვის დიდი სიამოვნებით იღებ მონაწილეობას და სპონსორობასაც გვინვე; რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით. ღიკა, შენს ახალგაზრდა ოჯახის წევრებთან ერთად გისურვებთ ჯანმრთელობას, მზებრძელობას, მუდამ წარმატება ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.

პატივისცემით, დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრები.

ამინდი		დედოფლისწყარო		საბურთალო		თბილისი		მთიანეთი		კვირი	
ორშაბათი 24.08	სამშაბათი 25.08	ორშაბათი 26.08	სუთშაბათი 27.08	პარასკევი 28.08	შაბათი 29.08	კვირა 30.08					
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
18°	14°	21°	15°	22°	17°	22°	18°	24°	18°	26°	16°
26°	16°	26°	15°								

გამომცემელი შპს „შირაპი“  
დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭავაძე (დისტრიბუტორი).  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე.  
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)  
რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.